საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 6 სექტემბერი. 2018 წ. №175 (8576) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რა პენსია მოდის მომავლიდან?

4

რეფორმის შუქ-ჩრდილები



3

ვარაზისხევში ქვაფენილი არ უნდა აიყაროს!

არ უნდა გაკეთდეს წარწერა „თბილისი“ მამადავითის ფერდობზე!

იაპონური თანადგომის მადლი



5

გია პლატონიშვილი:

ანქელიკა - ჟურნალისტების მარკიზა

2

მიველ, ვნახე არჩევნები

ასტანის პლატფორმა და „გლობალური სულიერი დიპლომატია“

6

ვინ გააღიზიანა ასე ანიტა ამორძალი?!

ქართველი საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი ფესტივალ „და არს მუსიკას“ ორგანიზატორებს უპირისპირდება. რაჭველიშვილი წერს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ფესტივალში არ მონაწილეობს, მისი სახელი მონაწილეთა სიაშია. მომღერალი კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობას მიმართავს და ფესტივალის ორგანიზატორების წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებს:

„ჩემ ხელში აღმოჩნდა ეს დოკუმენტი!

არ ვიცი, ვისი პასუხისმგებლობაა და ვინ არის ამ დიდი აფერის ორგანიზატორი, მაგრამ ის ვიცი ზუსტად, რომ ჩემი სახელი ჩაიწერა ამ ვითომ ფესტივალის სიაში და მე ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ ამ ფესტივალის ორგანიზატორებთან არანაირი საუბარი არასდროს არ მქონია და ამ ფესტივალში მონაწილეობას არასდროს დავთანხმებულვარ!

უამრავი ნიჭიერი ადამიანია საქართველოში და ორ თეთრს ვერ შოულობს, რომ რაიმე გააკეთოს და აი, ასეთ დიდ ტყუილებს აფინანსებს ჩვენი მთავრობა!

ნეტავ, რატომ იხარჯება თანხები აფერაზე?! რაზეა დაფუძნებული კულტურის სამინისტროს ან რომელიმე სხვა ინსტანციის თანხმობა ასეთი ფესტივალების ორგანიზებისას?! უბრალოდ, ვიღაცის სიტყვა, რომ ესა და ეს ადამიანები მომყავს და მონაწილეობას მიიღებენ?! ანუ ლაქლაქში და ტყუილში გაიცემა ფული?!

ეს კრიმინალია!

ჩემი ადვოკატი უკვე გავაფრთხილე და ძალიან მალე გავარკვევთ, ვინ არის ორგანიზატორი და საჩივარიც არ დაყოვნებს! ასეთი რაღაცები სულ ხდება და სულ დაუსჯელი რჩება ის ადამიანი, ვინც ბედავს მსგავს კრიმინალს!

საზღვარგარეთ ამაზე ციხეა და ისე გავაკეთებ, რომ საქართველოშიც არ აცდეს ციხე ადამიანს, რომელიც მოქალაქეების მიერ წვალებით გადახდილ გადასახადს ბიუჯეტში აი, ასეთი აფერისა და პირადი სიამოვნებისთვის იყენებს!

მეგობრებო, გადახედეთ სიას, თქვენს თავებსაც აღმოაჩენთ ამ სიაში და დარწმუნებული ვარ, ბევრისთვის სიურპრიზი იქნება!“... — წერს ანიტა რაჭველიშვილი და... „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დოკუმენტს აქვეყნებს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

თბილისის მერი
TBILISI CITY HALL

მუშრუკელები:

გუნდები:

- აფხაზეთის კაპელა
- გორის ქალთა კამერული გუნდი
- მცალობელ-მომღერალთა გუნდი „დიდგორი“

სიმფონიური ორკესტრი:

- "საქართველოს სიმფონიეტა" - კამერული ორკესტრი
- საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი

- ლადო ათანელი
- დავითა ალადაშვილი
- მაია პარალიშვილი
- ზვიად ბოლქვაძე
- ბექა გოჩიაშვილი
- თეონა ფალი
- თეა ფუმურაშვილი
- დინი ვირსალაძე
- რეზო კიკნაძე
- კორბა
- გიორგი & ანა ლაფი
- ფუფანა მაჩმანიშვილი
- ვახტანგ მაჭავარიანი
- მიხეილ მეგანელი
- გიორგი მიქაძე
- კოკა ნიკოლაძე
- გიორგი ოქუნი
- ნიკა რაჭველი
- ანაგა რაჭველიშვილი
- ნინო სურგულაძე
- გოგა შავგულაშვილი
- ბარიან ხუხუნაიშვილი
- გიორგი ცაგარელი

ხაჯიმბა-ასადი: „ჩვენი აღიარება გაბედული ნაბიჯი იყო“

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი და სირიის პრეზიდენტი ერთმანეთს შეხვდნენ. ბაშარ ასადმა რაულ ხაჯიმბას „დამოუკიდებლობის აღიარების 10 წლისთავი“ მიულოცა და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები, რომლებსაც შეხვედრის ფარგლებში მოეწერება ხელი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება „აფხაზურ-სირიულ ურთიერთობებში“.

ხაჯიმბამ კი ასადს „დამოუკიდებლობის“ აღიარებისთვის მადლობა გადაუხადა: „აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება სირიის არაბული რესპუბლიკის და სირიის ხელმძღვანელობის მხრიდან გაბედული ნაბიჯი იყო“. განაცხადა ე.წ. პრეზიდენტმა და ასადს მხარდაჭერა გამოუცხადა.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, ე.წ. პრეზიდენტისა და პრეზიდენტ ასადის შეხვედრაზე ხელი მოეწერა სოხუმსა და დამასკოს შორის „ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას“.

რაულ ხაჯიმბა „ოფიციალური ვიზიტით“ სირიის არაბულ რესპუბლიკაში იმყოფება. მასთან ერთად, აფხაზურ „დელეგაციაში“ არიან ე.წ. პრემიერ-მინისტრი გენადი გაგულია, ე.წ. პრეზიდენტის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბესლან ბარციცი, ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანი მუხამედ კილბა, ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვე, ე.წ. თავდაცვის მინისტრი მირაბ ქიშმარია და ე.წ. ეკონომიკის მინისტრი ადგურ არძინბა.

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „**საქართველოს რესპუბლიკას**“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

ძვირფასო ბიზნესმენებო, გაზეთის დახმარების მსურველნო, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

მამუკა ბახტაძე ესტონეთის ელჩს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ესტონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში კაი კაარელსონს შეხვდა.

მხარეებმა საქართველო-ესტონეთის ორმხრივ ურთიერთობებზე საუბრისას ყურადღება ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის პოზიტიურ დინამიკას მიაპყრეს; განიხილეს ასევე საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში ესტონეთის გამოცდილების გაზიარების საკითხი. კერძოდ, საუბარი შეეხო განათლების რეფორმას, ასევე საგადასახადო რეფორმას, რომელიც საქართველოში ესტონური მოდელის მიხედვით წარმატებით მიმდინარეობს. გარდა ამისა, მხარეებმა იმსჯელეს თბილისსა და ტალინს შორის პირდაპირი ავიარეისის აღდგენის აუცილებლობის თემაზეც. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ესტონეთი ლიდერი ქვეყანაა კიბერუსაფრთხოების დანერგვის თვალსაზრისით და ამ მიმართულებით საქართველოსთვის ესტონეთის გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია.



პრეზიდენტს სიცოცხლის ბოლომდე პერსონალური დაცვა აღარ ეყოლება

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ მომზადებული კანონპროექტით, სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტის პერსონალური დაცვით უზრუნველყოფა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ვალდებულება აღარ იქნება.

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, რომელიც პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა, პრეზიდენტს და ასევე, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს პერსონალური დაცვა სავალდებულო წესით უფლებამოსილების ვადის გასვლის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, ერთი წლის ვადით შეუნარჩუნდებათ.

თუმცა მთავრობა საკუთარი გადაწყვეტილებით დაადგენს, რა შემთხვევაში შეიძლება გაუგრძელდეთ მათ პერსონალური დაცვა აღნიშნული ერთი წლის გასვლის შემდეგ. უფრო კონკრეტულად, პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ასევე მათივე ოჯახის წევრებს, აგრეთვე უფლებამოსილების ვადის გასვლის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ სამსახურის სხვა დასაცავ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს დაცვა შეიძლება დაენიშნოთ მთავრობის გადაწყვეტილებით შესაბამისი საფრთხის არსებობის საფუძველზე — კერძოდ, თუკი მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირებს სახელმწიფო დაცვა არ შეუნარჩუნდებათ, თუკი უფლებამოსილების შეწყვეტა კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის გამო მოხდება.

ირმა ინაშვილი: სად გაგონილა, მწამებლები იძიებდნენ მკვლელობის საქმეს?

საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი პარლამენტის საშემოდგომო სესიის პლენარულ სხდომაზე ხორავას ქუჩის საქმეზე შექმნილი საგამოძიებო კომისიის მუშაობას ეხმაურება და აცხადებს, რომ უნდა დასრულდეს ქვეყანაში ის მარაზმი, როდესაც მწამებლები იძიებენ მკვლელობის საქმეს. მან უმრავლესობის დეპუტატებს „უსირცხვილოებიც“ უწოდა და 2004-2012 წლების მმართველობის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასებისკენ მოუწოდა.

„საქართველოს 200 ათასზე მეტი მოქალაქე საქართველოს პარლამენტისგან ითხოვს, შეფასდეს სააკაშვილ-ბოკერიების რეჟიმი, თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, ეს იქნება მძიმე დარტყმა სახელმწიფოსთვის. მე ჩემი ქვეყნის და ჩვენი შვილების მომავალი მადარდებს, თორემ თქვენი საკონსტიტუციო უმრავლესობა კი არა, თქვენ თვითონვე რომ გჭამთ. უნდა დავამთავროთ ამ ქვეყანაში ის მარაზმი, როცა მწამებლები იძიებენ მკვლელობის საქმეს. ერთი მაგალითი მაინც მითხარით, სადაც ასეთი იდიოტობა ხდება სხვა ქვეყანაში, თქვე უსირცხვილოებო, თქვენა“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა. ინაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ პარლამენტში შესულია „პატრიოტთა ალიანსის“ რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს, მიეცეს სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება 2004-2012 წლების მმართველობას — სააკაშვილ-ბოკერიების დანაშაულებრივ მმართველობასა და რეჟიმს.

◎ აურზაური არაფრის გამო

ანჟელიკა – ჟურნალისტების მარკიზა

საქართველოს ღვთის მადლით ჰყავს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელსაც, თავის მხრივ, საკონსულო დეპარტამენტი ექვემდებარება.

ბუნებრივია, როგორც ყველა სტრუქტურას, მასაც ეკისრება უშუალო პასუხისმგებლობა კონკრეტული საკითხის — ამ შემთხვევაში ვიზების გაცემის თაობაზე.

კეთილი და პატიოსანი, ფუნქცია დავაზუსტეთ, მაგრამ იბადება კითხვა — როგორ ასრულებს დასახელებული დანაყოფი მისიას? პასუხის გასაცემად შორს წასვლა არ დაგვჭირდება — აგერ ჩვენს დედაქალაქში გუშინ სამხრეთ კავკასიის პრობლემატიკასთან დაკავშირებული მედიაფორუმი გაიხსნა, რომლის სპონსორიც რუსეთის პრეზიდენტის საგრანტო ფონდი, ხოლო ორგანიზატორი — ვინმე ანჟელა ტრაპეზნიკოვა გახლავთ.

ოთხდღიან დისკუსიაში მონაწილეობა 40 სტუმარს უნდა მიეღო, მაგრამ ოთხი მათგანი საოკუპაციო კანონის დარღვევის გამო საქართველოში არ შემოუშვეს და სამშობლოში გააბრუნეს. ესენი არიან მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ტოკარევი და ჩვენი კოლეგები — გაზეთ „ჩრდილოეთ ოსეთის“ რედაქტორი ალან კასაევი, აგრეთვე სამხედრო კორესპონდენტები, რომელთაც, სხვათა შორის, სამსახურებრივად ევალებოდათ ცხელ თუ დროებით მინავლებულ წერტილებში ჩასვლა და მოვლენათა ეპიცენტრში აქტუალური პუბლიკაციების მომზადება.

ჰოდა, საინტერესოა, განა არ იცოდნენ დიპლომატიურ უწყებაში, რომ მოწვეულთა შორის კონფლიქტურ რეგიონებში ნამოღვაწარი კალმოსნებიც იყვნენ? ან იქნებ აღნიშნული ღონისძიების თაოსნებმა შეგნებულად შეარჩიეს სამასპინძლოდ დაბალ ღობედ მიჩნეული საქართველო, რათა „სატოპკე“ აეწიათ ანტისაოკუპაციო მოძრაობისა თუ ათასი ჯურის ურაპატრიოტული ორგანიზაციის აქტივისტებისთვის, ობსტრუქციითა და პროტესტით რომ დახვედროდნენ „ვერე პალასში“ დაწყებულ მედიაფორუმზე შეკრებილთ? ვითომ ერთმანეთთან მეოთხედსაუკუნოვან ომში ჩაბმულ აზერბაიჯანსა და სომხეთს ნაკლებად პრობლემატური ვითარება აწევთ ზურგზე ტვირთად? — იქნებ ამით ოდნავ მაინც ჩამქრალიყო ჩვენს სამეზობლოში აგიზგიზებული ცეცხლი.

ისე, ჩვენს ადათ-წესებს რა ვუთხარი, სტუმრებს მაინც დოლ-გარმონითა და ზურნა-დუდუკით რომ მოვუწყვეთ პერფორმანსი, რასაკვირველია, ქართული პურმარილის თანხლებით. ვინ იცის, იქნებ მამაპაპური ტრადიციების ერთგულებამ დაათბოს ზოგ-ზოგიერთთა გაყინული გულები...

მანუჩარ გიორგაძე

დიმიტრი კოსირევი მართლა პუტინის ჭურში მჯდარა



ვფიქრობ, დიდი ალბათობით, რუსეთი ოკუპანტი არ არის, — თბილისში მიმდინარე მედიაფორუმის მონაწილე რუსმა ჟურნალისტმა დიმიტრი კოსირევმა სასტუმრო „ვერე პალასთან“ შეკრებილ ჟურნალისტებსა და საპროტესტო აქციის მონაწილეებს განუცხადა. „მე არ ვიცი, ეს ჩემი სპეციალობა არ არის, თუმცა მე ეს ასე მეჩვენება. თქვენ შეგიძლიათ, დამარწმუნოთ, რომ მე ვცდები, ეს შესაძლებელია. თუმცა, ვფიქრობ, რომ დიდი ალბათობით, ეს ასე არ არის. ამას ვგრძნობ. ჩავთვალოთ, რომ ამ ვიზიტიდან მე დავბრუნდები ახალი ინფორმაციით, რომელზეც ვიფიქრებ“, — განაცხადა დიმიტრი კოსირევმა.

კითხვაზე, ვისი ტერიტორიაა აფხაზეთი?— დიმიტრი კოსირევმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი ტერიტორია ეკუთვნის იმ ხალხს, ვინც იქ ცხოვრობს. მას ასევე შეახსენეს, რომ დასავლური ქვეყნები აღიარებენ ოკუპაციას და ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობა მხოლოდ ნაურუმ და მსგავსმა ქვეყნებმა აღიარეს. „ეს არის ტიპური სიტუაცია, დასავლური ქვეყნები რაღაცას გამოთქვამენ, შემდეგ იცვლიან საკუთარ მოსაზრებას. ახლა დასავლურ ქვეყნებში მიმდინარეობს იდეური და პოლიტიკური რევოლუციის მსგავსი პროცესი. ახლა დასავლეთის მსგავსად ფიქრი, სამწუხარო სურათია, რადგან ის თავად ახლა იშლება ნაწილებად. აშშ-ში მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, ჯერ მცოცავი. წადით და თავად ნახეთ, რა ხდება“, — დასძინა მან.

რუსულ პროპაგანდასთან დაპირისპირება ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთიანი ამოცანაა!

— ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ თბილისში მიმდინარე მედიაფორუმთან დაკავშირებით განაცხადა.

„ამ ყველაფერს სათანადო რეაგირება და შეფასება უკვე მოჰყვა, რაც ჩვენთვის და საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სახელმწიფოს რეაქცია ნახეთ, როცა ქვეყანაში ის ჟურნალისტები არ შემოუშვეს, რომელთაც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი აქვთ დარღვეული. თუ გაინტერესებთ, სახელმწიფოს რეაქცია რა არის, არის პრაგმატული საგარეო პოლიტიკა. ჩვენი ქვეყანა ანთებული გულით უნდა გვიყვარდეს, მაგრამ ცივი გონებით უნდა ვიმოქმედოთ. ეს ის პოლიტიკაა, რომელსაც ვატარებთ. ეს არის თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელმაც ქვეყანას უსაფრთხოება და სტაბილურობა მოუტანა. ეს მიღწევები კიდევ უფრო გამყარდება“, — განაცხადა თალაკვაძემ.

◎ ხმათა ღაღადი

მიველ, ვნახე არჩევნები

აძსიომაა, რომ ვინც ხმებს ითვლის, არჩევნებსაც ის იგებს. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე საქართველოში ასეა და სხვაგან სხვებმა იკითხონ.

ჩვენი თაობა საბჭოთა სინამდვილიდან მოდის და მაშინ, აბა, ვინ დააყენებდა ეჭვქვეშ კომპარტიის უპირატესობას. აი, ზესახელმწიფოს დაშლის შემდეგ კი აღნიშნული თემა აქტუალური გახდა და, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად განსაზღვრავს კიდეც ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრირებაზე ჯერჯერობით ფუჭად მეოცნებე ქვეყნის არა მარტო აწმყოს, არამედ — მომავლის კონტურებსაც.

„დიდების“ უკვდავი ჰანგებისა და შინდისფერი ეროვნული დროშის ხიბლით აღტყინებულ სამშობლოში დღემდე სამაგალითოდ ითვლება 90-იანი წლების დასაწყისში გამართული უზენაესი საბჭოსა და საპრეზიდენტო არჩევნებისას ქართველი ხალხის მიერ გამოვლენილი ერთსულოვნება, როცა ძველი სისტემის შეცვლა ჯერ რეფერენდუმში, ხოლო მოგვიანებით, არსებითად, პლებისციტში გადაიზარდა და ხელისუფლების სათავეში „მრგვალი მაგიდისა“ და მისი ტრაგიკული ბედის ლიდერის ზვიად გამსახურდიას მოსვლით დაგვირგვინდა. თურმე, როგორ ხვედრს უმზადებდა უფალი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების რელსებზე შემდგარ ნორჩ რესპუბლიკას, მალევე ვნახეთ — სამოქალაქო, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში დაღვრილი ზღვა სისხლი და შაგრენის ტყავივით დამცრობილი ძირძველი ქართული მიწა-წყალი დღემდე დამოკლეს მახვილივით მოგვყვება და ისედაც ბუნდოვან პერსპექტივას კიდევ უფრო მრუმე ფერებში წარმოგვიჩენს, რაც სოლიდური დოზით სწორედ მანკიერმა საარჩევნო სისტემამ და შესაბამისმა ადმინისტრაციამ განაპირობა.

დიახ, ის, რაც სახელმწიფო გადატრიალებით დაიწყო, კლასიკურადაა „გაპრავებული“ მაჭავარიან-გოგორიშვილის მეოთხედსაუკუნოვანი ვაიმოღვაწეობით, რომელიც ჯერ მოქკავშირის, ხოლო შემდეგ ნაცმოძრაობის ქურქში გახვეული თელავდა ფეხქვეშ ადამიანის ფუნდამენტურ-თავისუფალი ხმის მიცემის უფლებას და სამაგალითოდ აყალბებდა არჩევნების შედეგებს, რასაკვირველია — მმართველი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ.

გვსურს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული გაჭიანურებული კოშმარი ამა თუ იმ ფორმით აქამდე გრძელდება და ნუ გვიკვირს, რომ ზემოდასახელებულ მარადმწვანე პარლამენტართა ჩაყრილი ნერგი დღემდე ხარობს. დიდი ალბათობით, სურათი უკეთესობისკენ არც ოქტომბრის მიწურულს დანიშნულ მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში შეიცვლება — ცესკოს მოქმედ თავმჯდომარე თამარ ჟვანიას ხომ ოპონენტები არაერთ, რბილად რომ ვთქვათ, გადაცდომასა და საკუთარი თავისთვის გამოწერილ მსუყე პრემია-დანამატებს ედავებიან, კვამლი კი, მოგეხსენებათ, უცეცხლოდ არ ჩნდება.

გია პლატონიშვილი

მინაწერი: მართალია, ამჯერად გამოკვეთილი ფავორიტი არ ჩანს, მაგრამ, სამაგიეროდ, ვიცით, ვის არ უნდა დავუჭიროთ მხარი. რა თქმა უნდა, იდეურ მეცოცხეებს — ვაშაძესა და ბაქრაძეს ვგულისხმობთ, ხოლო მოცემული რეალობა გვაფიქრებინებს, რომ სურვილის შემთხვევაშიც კი საარჩევნო მანიპულაციების გამოყენება საჭირო არ გახდება — შედარებით ღირსეულ კანდიდატს ნდობის ვოტუმს თვით ქართველი ხალხი გამოუცხადებს.

გ. ჰ.

◎ თბილისის მერიის საყურადღებოდ!

ვარაზისხევში ქვაფენილი არ უნდა აიყაროს!

არ უნდა გაკეთდეს წარწერა „თბილისი“ მამადავითის ფერდობზე!

თბილისის მერია თავაზიანად ეკითხება მოსახლეობას, შევცვალოთ თუ არა ქვაფენილი ასფალტით ვარაზისხევში? გავაკეთოთ თუ არა წარწერა „თბილისი“ მამადავითის ფერდობზე ქართულად? ინგლისურად?..

კარგად ყოფილა ჩვენი დედაქალაქის საქმე თუ თბილისის მთავრობა ამისთვის იცლის და ფულსაც პოულობს. თავის დროზე ქვაფენილი დააგეს, არა იმიტომ, რომ იმ დროს ასფალტი არ არსებობდა. ქვაფენილს დახრილ ქუჩაზე მთელი რიგი უპირატესობები აქვს, ამას სახალხო გამოკითხვა არ სჭირდება, ერთი რიგითი მეგზევე ინჟინერი აგვიხსნის. თურმე ქვაფენილი ხმაურიანი ყოფილა, მცხოვრებლები წუხანო. ვარაზისხევის მარჯვენა მხარეს საერთოდ არ არის საცხოვრებელი სახლი, მარცხენა მხარეს კი ორიოდე საცხოვრებელი სახლია გზიდან 50-60 მეტრის მოშორებით. ხმაურისა და მტვრის თვალსაზრისით თბილისის დანარჩენი ქუჩები გაცილებით უარეს დღეშია, სახლების უმრავლესობა ქუჩების გასწვრივ დგანან.

ვარაზისხევის ქვაფენილის შეცვლა ასფალტით გამოგონილი პრობლემაა, შესაძლოა, ვიღაცის ფინანსურ ინტერესებში შედის.

წინადადებამ – გავაკეთოთ წარწერა „თბილისი“ – „Tbilisi“ მამადავითის ფერდობზე, შორეულ კომუნისტურ წარსულში გადამიყვანა, როდესაც გზების მიმდებარე ფერდობებზე კომუნისტური ლოზუნგები თეთრი მოცულობითი ასოებით იყო წარწერილი. კარგით რა, სირცხვილია!

ხომ არ სჯობს, რომ ვიზრუნოთ ნაცების მიერ შეურაცხყოფილი საქართველოს უპირველესი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლის დიღმის ტრასიდან გადმოტანაზე, იქ სადაც მის ავტორს, მერაბ ბერძენიშვილს სურდა, და რასაც საქართველოს მთელი მოსახლეობა ითხოვს „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდანვე...

გვეყო გამოგონილ ტენდერებსა და ქუჩა-ფერდობების ვითომ გალამაზებისთვის სოლიდური თანხების ფლანგვა...

მალხაზ კალატოზიშვილი

ტექნიკური გადაიარაღებისა და საფრენოსნო შემოწმების შემდეგ ექსპლუატაციისთვის დაშვება ექვსმა მოტოდელტაპლანმა მოიპოვა

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შუამდგომლობით და უშუალო მეთვალყურეობით, მიმდინარე წლის 16-22 აგვისტოს, ბათუმში ჰიდრომოტოდელტაპლანების ტექნიკური და საფრენოსნო შემოწმება განხორციელდა. სამუშაოები მწარმოებელ „Aeros Ltd“-ს სპეციალისტებმა შეასრულეს. კომისიის მიერ შემოწმდა ა.ი.პ „მსუბუქი ავიაციის სპორტული ფედერაციის“ წევრების საკუთრებაში არსებული ყველა სატრანსპორტო საშუალება.

წარმოდგენილი 20 ერთეული ჰიდრომოტოდელტაპლანიდან მხოლოდ ექვსმა აპარატმა მოიპოვა ექსპლუატაციისთვის დაშვება („SKYLINE“, „AIRLINE“, „SPACELINE“, „BUTTERFLY“, „DELTA“, „APOLLO“). განხორციელდა მათი სრული დეფექტაცია, ტექნიკური მომსახურება, აღჭურვა, გადაიარაღება და საფრენოსნო გამოცდა. საფრენოსნოდ ვარგის მდგომარეობაში მოყვანის და ქარხანა-დამაზადებლის მიერ გაცემული ტექნიკური და საფრენოსნო გამოცდის აქტების შესწავლის შემდგომ, აღნიშნულ ზემსუბუქ საფრენ აპარატებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ მიეცა შეზღუდულ რაიონში ოპერირების უფლება, 2018 წლის 30 სექტემბრამდე დადგენილი რეგლამენტური მომსახურების პირობით.

ამასთან, მოტოდელტაპლანების ფრენის ვარგისობის ნორმებთან სრულ შესაბამისობაში შენარჩუნების, მათი პერიოდული ტექნიკური მომსახურების პროცესის სწორად წარმართვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შესაძლებლობა მიეცემა განიხილოს აღნიშნული საფრენის აპარატების სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რეესტრში რეგისტრაციის საკითხი.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო აგრძელებს მოტოდელტაპლანების ფრენებზე მონიტორინგს და მოუწოდებს საქართველოში მოქმედ ოპერატორებს და ოპერირების დაწყების მსურველებს, დაიცვან ფრენის უსაფრთხოების ნორმები.

ქართული მწვანილი უცხოეთში

„ჰერბიას“ საექსპორტო ბაზარს ახალი ქვეყნები დაემატება: კომპანია მწვანილს ბულგარეთის გარდა პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და ჰოლანდიაშიც გაიტანს.

„წელს ევროპის ქვეყნებიდან მწვანილი მხოლოდ ბულგარეთში გავიტანეთ. ნოემბრიდან ვიწყებთ ექსპორტს პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ასევე, ჰოლანდიასთან. ბევრი ევროპული ქვეყანა ითხოვს ჩვენგან პროდუქციის შეტანას, მაგრამ ევროპული სავაჭრო ქსელებისთვის უწყვეტად მიწოდება არ შეგვიძლია, რადგან საკამარისი მოცულობის მწვანილი ჯერ ვერ მოგვყავს. ევროპული მარკეტები დიდი და გარანტირებული მოცულობების მიწოდებას ითხოვენ“, – ამბობს „კომერსანტთან“ საუბრისას „ჰერბიას“ დამფუძნებელი ზურაბ ჯანელიძე.

ამჟამად კომპანია, რომელსაც სასათბურე მეურნეობა წყალტუბოში აქვს, ნათესების გაფართოებას ახორციელებს და ასორტიმენტს ახალი სახეობის მწვანილსა და ბოსტნეულს ამატებს. ამისთვის კომპანიამ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში, „საქართველოს ბანკისგან“ 500 ათასი ევროს სესხი აიღო. კომპანია თანხის ნაწილით სასათბურე მეურნეობას გააფართოვებს და შესაფუთ საწარმოს გადააიარაღებს. ზურაბ ჯანელიძე ამბობს, რომ თანხას საექსპორტო ბარზების გასაფართოებლად და ასევე, ადგილობრივ ბაზრის უკეთ

მომარაგებისთვის გამოიყენებენ.

შპს „ჰერბია“ ერთადერთი კომპანიაა, რომელმაც ქართული მწვანილი ევროპის ბაზარზე გაიტანა. ანალოგიური პროფილის სხვა მწარმოებლებმა მწვანილის ევროკავშირში გატანა ჯერჯერობით ვერ შეძლეს. ისინი ევროპის მკაცრ მოთხოვნებს, რომელიც პროდუქციის ხარისხს უკავშირდება, ვერ აკმაყოფილებენ. მეურნეობაში ამჟამად მოჰყავთ: ოხრახუში, ქინძი, ნიახური, კამა, სალათები, რუკოლა, მწვანე ხახვი, რეჰანი, პიტნა, ორეგანო და სხვა.

ევროპა მწვანილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია, სადაც იმპორტის მოცულობა მზარდია. შესაბამისად, ხარისხის გაუმჯობესებისა და საკმარისი მოცულობის მოყვანის შემთხვევაში ქართული მწვანილის ექსპორტს ევროკავშირში დიდი პოტენციალი აქვს. ევროპა ამჟამად მწვანილით ძირითადად ჩინეთიდან მარაგდება. დიდი მიმწოდებლები არიან აგრეთვე ინდოეთი, ვიეტნამი და ბრაზილია.

ცოტა ხნის წინ „ჰერბიამ“ მომხმარებელს დაფასოვებული და შეფუთული მწვანილის შემდეგ გაფცქვნილი კარტოფილი და სტაფილო შესთავაზა, რაც ადგილობრივი ბაზრისთვის სიახლეა. კომპანიის ხელმძღვანელის თქმით, სიახლე მომგებიანი აღმოჩნდა, ამიტომ ბოსტნეულის ამ ფორმით წარმოებას მომავალშიც გაგრძელებენ.

ნონა ქვლივიძე

ირანიდან შემოსული არმატურის დიდი ნაწილი უხარისხოა!

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, ირანიდან არმატურის იმპორტი წინა თვესთან შედარებით გაორმაგდა. როგორც ირკვევა, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ირანული პროდუქციისთვის უპირობოდ აქვს ღია კარი, მაშინ როცა მეზობელმა ქვეყნებმა დემპინგურ ფასად შემოსულ პროდუქციას ჩაუკეტეს საზღვრები და გადასახადები დაუწესეს. შემოტანილი პროდუქციის დემპინგური ფასი, როგორც ირკვევა, პირდაპირ კავშირშია მის უხარისხობასთან.

ნაგებობების, დაპროექტებისა და ტესტირების ცენტრის ხელმძღვანელი არჩილ ყუბანეიშვილი „აიპრესთან“ განმარტავს, რომ საქართველომ აუცილებლად უნდა აამოქმედოს ანტიდემპინგური კანონი ადგილობრივი ბაზრის დასაცავად, ვინაიდან დემპინგური ფასით ბაზარზე ოპერირება კლავს ადგილობრივ მწარმოებელს და ხელს უწყობს უხარისხო მშენებლობას. როგორც არჩილ ყუბანეიშვილი აცხადებს, აუცილებელია, დაწესდეს კონტროლი ირანიდან იმპორტირებულ არმატურაზე:

– ირანის არმატურა, რომელიც საქართველოში შემოდის, ძალიან არაერთგვაროვანია. ზოგი მათგანი ძალიან ცუდი ხარისხის არის, ზოგი კი ნორმალურია. ძირითადად, ტექნოლოგიებს ვერ იცავენ.

რატომ ყიდულობენ საქართველოში ირანულ არმატურას? იმიტომ რომ იაფია. თუ ვიყიდით იაფფასიან არმატურას, უნდა შევამოწმოთ, აკმაყოფილებს თუ არა ის მოთხოვნილ სტანდარტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოყენება მშენებლობაში საფრთხის შემცველია.

როდესაც ხდება პროდუქტის შემოტანა, ორი აუცილებელი პირობა უნდა შესრულდეს – ერთი, გეომეტრიული მახასიათებლების ნორმები უნდა იყოს დაცული, მეორე სიმტკიცე, ფიზიკო-მექანიკური ნორმები. სიმტკიცისთვის მიღებულია A500 კლასის არმატურა. ირანის არმატურამ თუ არ დააკმაყოფილა მოთხოვნილი სტანდარტი, უნდა დაიბრაკოს. არ მესმის მთავრობის, რატომ უშვებენ ირანიდან დემპინგურ ფასად იმპორტირებულ უხარისხო არმატურას?!

– კლავს თუ არა ადგილობრივ მწარმოებელს ირანიდან დემპინგურ ფასად შემოსული პროდუქცია, რომელიც, როგორც ირკვევა, უხარისხობის ხარჯზეა იაფი?

– რა თქმა უნდა, ირანიდან დემპინგურ ფასად შემოსული არმატურა კლავს ადგილობრივ ბაზარს! ეს არის ცუდი, რატომ უშვებს მთავრობა ირანულ პროდუქციას?! აზერბაიჯანმა ჭკუა იხმარა, დააწესა ზედმეტი გადასახადი ბაჟი, იქ უკვე აღარ შედის, საქართველოში – შემოდის.

სახელმწიფომ უნდა დააწესოს ისეთი ბაჟი, რომ ველარ შემოვიდეს ირანული პროდუქცია, თუ კონტროლი გვექნება და გვეცოდინება, რომ ნაკლები სიმტკიცისაა, ეს ხელს შეუწყობს უსაფრთხო მშენებლობას. ესენი არ ფიქრობენ ამას, არ ხდება არმატურის გამოცდა, შემოწმება!

– თუ სახელმწიფომ ანტიდემპინგური კანონი აამოქმედა, რა შედეგეს მივიღებთ?

– თუ ამოქმედდა ანტიდემპინგური კანონი, საბაჟოზე დაწესებული იქნება გადასახადი, შესაბამისად მარტივად ველარ შემოიტანენ დაბალ ფასიან პროდუქციას, საქართველოში კი არ არსებობს არანაირი მექანიზმი იმპორტირებულ პროდუქციაზე და ადგილობრივი წარმოება კვდება.

გარდა ამისა, როდესაც ადგილობრივი წარმოება გვაქვს მაღალი ხარისხის და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ის უხარისხო და დემპინგური იმპორტისგან.

მეორე, რაც ასევე მნიშვნელოვანია აუცილებელია ხდებოდეს სამშენებლო ობიექტის შემოწმება, დამკვეთი ფულს ჯიბეში კი არ უნდა იდებდეს, უნდა ამოწმებდეს, ლაბორატორიული შემოწმების დასკვნის გარეშე პროდუქცია არ უნდა გამოიყენონ. წესი ასეა, მაგრამ არავინ უყურებს მაგას.

ადგილობრივი წარმოების, რუსთავის ფოლადის არმატურა ყოველთვის აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტს და მაღალხარისხიანია, რასაც ვერ ვიტყვით ირანიდან დემპინგურ ფასად შემოსულ არმატურაზე. ჩვენი ბევრად ჯობს. მთავრობამ უნდა დაიცვას არმატურის ადგილობრივი წარმოება, პირველი რომ ის აწარმოებს მაღალი ხარისხის არმატურას, რომელიც უსაფრთხოა მშენებლობისთვის და მეორე, ქმნის ქვეყანაში მეტ სამუშაო ადგილს.

მოგვაწოდა „აიპრესმა“

რა პენსია მოდის მომავლიდან?

დამოუკიდებლობის **მოპოვებიდან მეოთხედი საუკუნის გავლის შემდეგ, ქვეყნის პარლამენტმა როგორც იქნა მოიცალა არა მარტო პენსიების დროდადრო და „აფთიაქურად“ გამოზომილად მომატებისთვის, არამედ მათი დაფინანსების არსებითად სხვა მეთოდიკაზე გადასვლისთვისაც. ამასთან დაკავშირებით, წლეულს, 21 ივლისს, ხალხის რჩეულებმა მიიღეს „დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონი“, თუმცა კი როგორი იქნება დღევანდელი ახალგაზრდების მომავალი პენსია (უფროსი თაობისთვის, რომ იტყვიან, „ეს მატარებელი უკვე ჩავლილია“), ბევრს ბუნდოვანი წარმოდგენაც არა აქვს. ამდენად, მოსახლეობისთვის ამის განმარტება ქვეყნის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალა, დოკუმენტი კი, რომელშიც საპენსიო შენატანებთან დაკავშირებით მომუშავის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს ვალდებულებებია გაწერილი, ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან უნდა შევიდეს.**

მანამდე კი შეიძლება ითქვას, რომ პენსიის დაგროვებით სისტემაზე გადასვლა, რეფორმის ავტორთა აზრით, მოქალაქეს გარკვეული მოცულობის სახსრების დაგროვებისა და მომავალში უფრო მაღალი კოეფიციენტით პენსიის მიღების შესაძლებლობას შეუქმნის. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ დანაზოგის გაზრდასთან ერთად ეკონომიკაში საფინანსო რესურსი შეიქმნება, რომელიც ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდება. გრძელვადიან პერსპექტივაში კი დაგროვებითი პენსია, სოციალურთან ერთად, ჩანაცვლების კოეფიციენტს 50 პროცენტამდე გაზრდის.

სიმართლე გითხრათ, კანონის ეს თეზისი მთლად ნათელს არ ხდის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს — მაინც როგორი იქნება ამ პენსიის ციფრობრივი გამოხატულება და როგორ შესაბამისობაში იქნება ეს თანხა ან სამომხმარებლო კალათის ინდექსთან, ან, გნებავთ, ინფლაციის დონესთან, თუმცა მოდით, მაინც დოკუმენტის დებულებებს მივყვეთ.

კანონის თანახმად, **თითოეული მოქალაქის სახელზე გაიხსნება საპენსიო ანაბარი, რომელზეც სახელმწიფო, დამსაქმებელი და მუშაკი ყოველთვიურად ხელფასის 2-2 პროცენტს გადარიცხავს**. კონკრეტულად კი დამსაქმებელი ვალდებული იქნება, მუშაკის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაუბეგრავი სახელფასო თანხის სულ მცირე 2 პროცენტი გადარიცხოს, რომელიც წელიწადში 60 ათას ლარზე მეტი არ ექნება. დაუბეგრავი სახელფასო თანხის კიდევ 2 პროცენტს მუშაკის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დამსაქმებელი უკვე თავად დასაქმებულის სახელით გადარიცხავს. გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებული იქნება, დასაქმებული პირის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ყოველთვიური დაუბეგრავი სახელფასო თანხის ასევე 2 პროცენტი გადარიცხოს, რომელიც წელიწადში 24 ათას ლარს არ აღემატება, ანდა 1 პროცენტი 24-60 ათასი ლარის ყოველწლიური ხელფასის საზღვრებში მოქცეული დაუბეგრავი ყოველთვიური ხელფასიდან. მარტივად რომ ვთქვათ, ესაა 2+2 პროცენტი **(დამსაქმებელი და დასაქმებული) +2 (ან 1 პროცენტი) სახელმწიფოს წილი**.

აღნიშნულ სისტემაში **თვითოდასაქმებულ პირთა ჩართვისას კი მინიმალური საპენსიო შენატანი დაუბეგრავი სახელფასო თანხის 4 პროცენტი იქნება**.

ასამოქმედებელი სისტემის კიდევ ერთი საგულისხმო სიახლე ისაა, რომ 40 წელს მიღწეულ მუშაკს, რომელსაც დაგროვებით საპენსიო სისტემის მონაწილეობა აღარ სურს, პროგრამის დატოვების უფლება აქვს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, იმის თქმაა აუცილებელი, რომ საპენსიო რეფორმა, უწინარესად, საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებითაა განპირობებული, რაც საგრძნობ საფრთხეს უქმნის სოციალურ პენსიას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ერთ-ერთი უდიდესი სტატიაა: ბოლო 13 წლის განმავლობაში მას და კიდევ რამდენიმე სხვა სახის სოციალურ დახმარებას, ქვეყანაში, ფაქტობრივად, ყოველი მეოთხე კაცი იღებს, 2030 წლისთვის კი, პროგნოზის თანახმად, მისი მიმღები 1,1 მილიონი კაცი იქნება. თანაც, დროთა განმავლობაში, მათი რიცხოვნობა და, შესაბამისად, ამ მიზნით ბიუჯეტის გასავალი, კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ცხადია, რომ რეფორმის მეორე განმპირობებელი ფაქტორია (**ისევ კანონის ავტორთა აზრით — ო. ტ.**) მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. კერძოდ, როგორც ცნობილია, 2019 წლის 1 იანვრიდან, სოციალური, ანუ ასაკით პენსია 20 ლარით და 2020 წლის 1 იანვრიდან კიდევ 20 ლარით მოიმატებს, ანუ ორ წელიწადში „ერთბაშად“ 40 ლარით გაიზრდება. ეს კი, განუხრელად მზარდი სამომხმარებლო ფასების პირობებში (**ინფლაციას ამჯერად არ განვიხილავთ — ო. ტ.**), აშკარად არასაკმარისია და დღესდღეობით არსებულ მეტად არასახარბიელო სოციალურ ფონს ბევრ სასიკეთოს ვერაფერს დაამჩნევს.

დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლის შემდგომი ნაბიჯი, ახალი კანონის თანახმად, იქნება საპენსიო სააგენტოს შექმნა. სტრუქტურულად სწორედ საჯარო სამართლის იურიდიული ეს პირი განაგებს მომავალში აღნიშნულ სისტემას და რომელსაც მოქმედების საზედამხედველო საბჭო უხელმძღვანელებს. მის შემადგენლობაში საქართველოს მთავრობის სამი წევრი და სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარე შევლენ. მისი დირექტორი საკონკურსო საფუძველზე შეირჩევა. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო ფონდის ფუნქცია კი საპენსიო აქტივების ინვესტირების პოლიტიკის განსაზღვრა იქნება და ეს მოდელი, როგორც კანონმდებლები აღნიშნავენ, საერთაშორისო პრაქტიკაში საფუძვლიანადაა აპრობირებული. მისი მოქმედების პროცესში ჩართული იქნება საგანგებო დეპოზიტარი, რომელიც უზრუნველყოფს აქტივების შენახვას.

კანონის თანახმად, საპენსიო აქტივები შეიძლება ინვესტირებული იყოს: ა) ფულად სახსრებში (მათ შორის საბანკო ანგარიშებისა და საბანკო დეპოზიტებში); ბ) არასახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოშვებულ, ასევე კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, რომლებიც საფონდო ბირჟის ლისტინგში იქნება შეტანილი; ე) საინვესტიციო ფონდებში.

აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს საპენსიო ფონდის ანგარიშვალდებულება, რათა თითოეულმა მომავალმა პენსიონერმა შეძლოს საკუთარი საპენსიო სახსრების მოძრაობის თვალის გადევნება. ამდენად, კანონით განსაზღვრულია, რომ, წელიწადში ერთხელ მაინც, საპენსიო ანგარიშის ყოველ მფლობელს, სააგენტომ ელექტრონული ფორმით უნდა წარუდგინოს მას მონაცემები შენატანების განხორციელებისა და დროში გაწერილი ანგარიშების აქტივების, აგრეთვე ინვესტიციების დაბრუნების შესახებ.

საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ კი, კანონის მიხედვით, მოქალაქეს შეეძლება საკუთარი საპენსიო ანგარიშიდან აქტივების მიღება ან ერთიანად, ანდა საპროგრამო ფორმით. გარდა ამისა, მას საშუალება ექნება, მოითხოვოს, რომ მის კუთვნილი საპენსიო ფონდის აქტივები გადატანილი იქნას მის მიერ შერჩეული რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის საპენსიო ფონდში.

კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება საპენსიო სააგენტოსთან დაკავშირებით ისაა, რომ ის საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უწყება იქნება, რომელიც, საპენსიო აქტივების მთელი მოცულობის ერთ პროცენტის დაკარგვის შემთხვევაში, მასშიც კი, საგანგებო ადმინისტრირების შემოღებას უზრუნველყოფს.

საპენსიო რეფორმის განხორციელებას, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯის ზრდა მოჰყვება, რომლის ოდენობა დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, სავარაუდოდ, დაახლოებით 150 მილიონ ლარს შეადგენს. გარდა ამისა, პირველი სამი წლის განმავლობაში საპენსიო სააგენტოს შენახვაზე, რომელიც ასევე ბიუჯეტის სახსრებით მოხდება, დაახლოებით 5 მილიონი ლარი დაჯდება.

ეს რაც შეეხება დაგროვებით საპენსიო სისტემის ზოგად მონახაზსა და მისი მოქმედების სტრუქტურას. მაგრამ არსებობს კიდევ მისი წარმატებული მოღვაწეობისთვის აუცილებელი პირობები, რომელთა შორის უმთავრესია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც, მავანთა „საზეიმო-საპატაკო“ მრავალრიცხოვანი განცხადების მიუხედავად, მაინცდამაინც დიდად ოპტიმისტურად არ გამოიყურება. ბევრი ექსპერტი ეჭვს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩრდილოვანი სეგმენტის სოლიდური წილის გამო, საპენსიო რეფორმის ამოქმედების შემდგომ, სამამულო ეკონომიკაში ვითარება შესაძლოა კიდევ უფრო დამძიმდეს. **ამის თავიდან ასაცილებლად კი აუცილებელია, რომ ახალი საპენსიო სისტემა ნებაყოფლობითი იყოს. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გადასახადების ნებისმიერი ზრდა რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს, ამ შემთხვევაში კი საქმე არა ასეთ მატებასთან, არამედ, სულაც, ახალი გადასახადის შემოღებასთან გვაქვს, რისთვისაც მოსახლეობის თანხმობაა აუცილებელი. ასეთი რეფერენდუმი კი, მოგეხსენებათ, არც ჩატარებულა და არც იგეგმება.**

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დამქირავებლები იძულებული იქნებიან მუშაკის საპენსიო ანგარიშზე მისი ყოველთვიური ხელფასის 2, წლიურის კი 24 პროცენტი „საკუთარი ჯიბიდან“ გადაიხადონ. ნაკლებად წარმატებული სამამულო ეკონომიკის პირობებში მათ ამის გაკეთება რომ გაუჭირდებათ, ფაქტობრივად, არანაირ ეჭვს არ იწვევს, ამდენად შედეგი, სავარაუდოდ, საკმაოდ ნეგატიური იქნება. კერძოდ კი, ყოველივე ამას შესაძლოა ის მოჰყვეს, რომ ან ხელფასების პირდაპირ „ხელზე“ გაცემას დაიწყებენ, ანდა, ხარჯის ზრდის გამო, შტატებს შეამცირებენ, რაც მოსახლეობის მატერიალურ ყოფაზე, ცხადია, უარყოფითად აისახება და სოციალურ ფონსაც დაამძიმებს.

ქვეყანაში საპენსიო რეფორმის გატარება რომ აუცილებელია, ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან სოციალური პენსიის ხარჯთან (სხვა სოციალურ ხარჯთან ერთად) სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უდიდეს მუხლს შეადგენს, რაც მას მძიმე ტვირთად აწევს. მარტო ბოლო წლებში ასაკით პენსიის მიმღებთა რიცხოვნობა 70 ათასი კაცით გაიზარდა. ასევე მხედველობაშია მისაღები ის მომენტიც, რომ რადგან ქვეყანაში მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია, გამოდის, რომ ყოველი მესამე აღნიშნული მოდელის საპენსიო რეფორმის მიღმა დარჩება.

ყველაფერ ამასთან გასათვალისწინებელია ის უაღრესად საგულისხმო მომენტი, რომ იმის გამო, რომ საქართველოში დიდი წარმატებული კომპანიების რიცხოვნობა ძალიან მცირეა, რომელთა აქტივებში შესაძლებელი იქნება საპენსიო ფონდის სახსრების ნაკლები რისკით სარფიანად განთავსება, რეალურად ისეთი მდგომარეობა შეიქმნება, რომ **წლების მანძილზე ქვეყნიდან, მართალია დროებით, მაგრამ მაინც გატანილი მილიონობით დოლარი, არა ეროვნული, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა, ისედაც წარმატებული ეკონომიკების განვითარებაში იქნება დაბანდებული და უცხოური კომპანიების უფრო მეტად აღზევებას მოხმარდება.** გარდა ამისა, საკმაოდ მნიშვნელოვანი სახსრები ლარის უცხოურ ვალუტებში კონვერტაციაზეც დაიხარჯება. შესაბამისად, ყოველივე ამის შედეგად ორსამ ათეულ წელიწადში, ლარი საგრძნობლად გაუფასურდება, რასაც, თავის მხრივ, ფასების ზრდა მოჰყვება.

როგორც ვხედავთ, ახალი საპენსიო სისტემის დანერგვა სულაც არ არის ისეთი იოლი საქმე, როგორც ეს შეიძლება თვალის ერთი გადავლებით ჩანდეს, ამდენად, ბევრ რამეზე დაფიქრება მთავრობასაც მოუწევს და სპეციალისტებსაც.

ოთარ ტურაგელიძე

თავისუფლების მოედანზე არსებული თბილისის საკრებულოს ავტოსადგომი გაუქმდა

დღეიდან, თავისუფლების მოედანზე, თბილისის საკრებულოს შენობის წინ არსებული პარკინგი გაუქმდება. აღნიშნული ინიციატივით დედაქალაქის საკრებულომ მერიას მიმართა.

საპარკინგე ადგილები საკრებულოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის გამოიყენებოდა და დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძის განცხადებით, მოძრაობის შეფერხებას იწვევდა. გარდა ამისა, ავტოსადგომი საკრებულოს ისტორიული შენობისა და თავად მოედნის ესთეტიურ სახეს ლახავდა.

„დარწმუნებული ვარ, თბილისელები აღნიშნულ გადაწყვეტილებას მიესალმებიან,“ — განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

იაპონური თანადგომის მადლი

შემოდგომა საქართველოში უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო-საგარეო ვიზიტით დაიწყო: დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ანუ 27 წლის განმავლობაში პირველად თბილისს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ტარო კონო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის **მამუკა ბახტაძის** პრესსამსახურის განცხადებით, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ტარო კონოსთან შეხვედრისას, მთავრობის მეთაურმა რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად საქართველოსა და იაპონიას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყების იდეა წამოაყენა, რის მიმართ იაპონიის მხარემ ინტერესი გამოხატა.

პრემიერის თქმით, აღნიშნული საკითხის განხილვა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანს და ხელს შეუწყობს გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს უფრო ეფექტიანად ინტეგრირებას.

შეხვედრისას ასევე ყურადღება დაეთმო იაპონიასა და საქართველოს შორის ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პროცესის მიმდინარეობას, რომელიც დასკვნით ეტაპზეა. მხარეებმა აღნიშნეს, რომ პრინციპულ საკითხებზე პოლიტიკურ დონეზე შეთანხმება უკვე მიღწეულია და იმედი გამოთქვეს, რომ მოლაპარაკებები ოქტომბერში წარმატებით დასრულდება. პრემიერი დარწმუნებულია, რომ შეთანხმება იაპონიიდან მეტი მაღალტექნოლოგიური ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობას შექმნის.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დადებითად შეაფასა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების დინამიკა და ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელოვან შეთანხმებებს, რომლებიც საქართველოსა და იაპონიას შორის ვიზიტის დროს გაფორმდა. განსაკუთრებით აღინიშნა იაპონიასთან უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით დაწყებული მოლაპარაკებების მნიშვნელობა, რაც, ხალხთაშორისი, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავებას და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა იაპონიის მთავრობას ასევე მადლობა გადაუხადა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტისთვის გამოყოფილი სოლიდური დაფინანსებისთვის, რომლის შესახებ შეთანხმება იაპონიის საგარეო საქმეთა მინიტრის ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა.

— უახლოეს მომავალში დასრულდება მოლაპარაკებები იაპონიასთან ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებაზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, უფრო მეტი მაღალტექნოლოგიური ინვესტიცია მოვიზიდოთ იაპონიიდან. ამასთან ერთად, დღეს ჩვენ — ქართულმა მხარემ ინიცირება გავუკეთეთ კონსულტაციების დაწყებას თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების შესახებ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს უფრო ეფექტიანად ინტეგრირება მოვახდინოთ. იაპონიის ეკონომიკა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილია და, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მასთან გვქონდეს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი. გარდა ამისა, ვისაუბრეთ სხვა პროექტების შესახებაც, რომელებიც დაგვეხმარება კიდევ უფრო გავზარდოთ ორმხრივი ვაჭრობა. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო იაპონიის მთავრობას გამოყოფილი კრედიტისთვის, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის რეალიზაციას მოხმარდება. ეს საინჟინრო თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე რთული მონაკვეთია და, შესაბამისად, იაპონური ტექნოლოგიების გამოყენება ამ პროექტის დასრულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ შეხვედრის შემდეგ.

* * *

— იაპონია საქართველოს მნიშვნელოვან პარტნიორად განიხილავს. ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება 27 წელიწადს ითვლის და მოხარული ვარ, რომ ამ ხნის მანძილზე კარგი ურთიერთობები გვაქვს, — განაცხადა ბატონმა ტარო კონომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ **დავით ზალკალიანთან** შეხვედრისას. — **დღევანდელ შეხვედრაზე კი ბატონ მინისტრთან ორმხრივ ურთიერთობათა მეტად გაღრმავებისა და განმტკიცების გზები განვიხილეთ. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ერთობლივად წავახალისოთ ახალგაზრდა დიპლომატები, იურისტები, ზოგიერთი სხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა განმტკიცებაში.**

გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეთათვის მიმოსვლის ინტენსივობის გაზრდის მიზნით, იაპონიამ მათთვის სავიზო რეჟიმის მოთხოვნათა გამარტივება გადაწყვიტა, — თქვა ერთობლივ პრესკონფერენციაზე ბატონმა ტარო კანომ.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ იაპონიის მხარესთან ასევე მიღწეულია შეთანხმება სასესხო ხელშეკრულებაზე რიკოთის უღელტეხილის შემოვლითი ავტობანის მშენებლობისთვის განკუთვნილი გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი, 343 მილიონი დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფის თაობაზე.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი და ნაყოფიერი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის მიმართ უმაღლეს დონეზე გამოხატულ მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს.

— 100 წლის წინათ იაპონია იმ ქვეყნების რიცხვში იყო, რომლებმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აღიარეს. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე იაპონია ჩვენი ქვეყნის ძლიერ მხარდამჭერად და პარტნიორად იქცა როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე, — აღნიშნა ბატონმა დავით ზალკალიანმა.

მინისტრის შეფასებით, საქართველოსა და იაპონიას ფუნდამენტური ღირებულებები აერთიანებს, ხოლო რუსეთთან ომის ათი წლისთავზე ესოდენ მაღალი რანგის ვიზიტი, როგორიცაა საგარეო საქმეთა მინისტრის ჩამობრძანება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. იაპონია ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მიესალმება ჩვენს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებას. ბატონმა მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა იაპონიის დელეგაციასთან ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავებისა და კერძო სექტორში თანამშრომლობის წახალისების თაობაზე მიღწეული შეთანხმების მნიშვნელობას. ლაპარაკია, კერძოდ, ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ კონსულტაციების დაწყებაზე.

* * *

ასევე საგულისხმო იყო 4 სექტემბერს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილის **მიცუკო შინოს** სასტუმრო „რედისონ ბლუში“ ჟურნალისტებთან გამართული შეხვედრა, რა დროსაც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველო დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დაცვის უდავო ლიდერი ქვეყანაა.

— რეგიონის სხვა ქვეყნები მხოლოდ ახლა იწყებენ ამ პროცესს. მაგალითისთვის მოვიყვან სომხეთს, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლამდე ვეწვიეთ. ამჟამად ისინი სტაბილური საპარლამენტო დემოკრატიის შექმნას ცდილობენ, თუმცა თქვენში ეს პროცესი უკვე შემდგარია. მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მრავალპარტიული სისტემა მოქმედებს. ქართველ პარლამენტარებთან დღეს გამართული შეხვედრისას მათ განაცხადეს, რომ მრავალი უთანხმოების მიუხედავად, იაპონიასთან საქართველოს ურთიერთობათა დიდი მნიშვნელობის მაღალ შეფასებაში ერთსულოვანი არიან, — განაცხადა ქალბატონმა მიცუკო შინომ.

მისი თქმით, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ტარო კონოს საქართველოში პირველი ვიზიტი ისტორიული მოვლენაა.

— ჩვენ შეგვიძლია ეს მომენტი ორმხრივ ურთიერთობათა გასამყარებლად გამოვიყენოთ. საგარეო საქმეთა მინისტრი მოხარულია საქართველოში სტუმრობით, რომლის სახითაც ჩვენ საერთო ღირებულებათა — ადამიანის უფლებათა, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და თავისუფლების უფლების გამზიარებელ პარტნიორს ვხედავთ, — თქვა მან.

ქალბატონი მიცუკო შინო ასევე შეეხო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს და აღნიშნა, რომ ამ პრობლემასთან მიმართებაში საქართველოსა და იაპონიის მიდგომებს შორის მსგავსებაა.

— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტმა და პარლამენტარებმა აგვიხსნეს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის გადაჭრა მშვიდობიანი და პრაგმატული გზით სურთ. ზუსტად ასეთივე მიდგომა აქვს იაპონიას, როცა საქმე ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს ეხება, — განაცხადა ქალბატონმა მიცუკო შინომ.

ოთარ ტურაბელიძე

13 წლის მოზარდი მამინაცვალმა გააუპატიურა!

სამართალდამცველებმა 13 წლის მოზარდის გაუპატიურების ბრალდებით 51 წლის მამაკაცი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, დაკავებული ძალადობის მსხვერპლის მამინაცვალია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, შემთხვევა 27 აგვისტოს მოხდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მომხდარზე გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლით მიმდინარეობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულს 15-დან 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ოქროს კონტრაბანდის ფაქტი გამოავლინეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, წინასწარი შეთანხმების ჯგუფის მიერ საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტი გამოავლინეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულში მხილებული პირები, საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის“ გავლით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების მალულად შემოტანას ცდილობდნენ.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია 1 024 გრამი ოქროს ნაწარმი, რომლის საერთო საბაჟო ღირებულება 57 000 ლარს აღემატება.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 11 წლამდე ვადით.

ხელყუმბარის აფეთქებით ერთი ახალგაზრდა დაიღუპა!

ფოთში, ნაბადის უბანში სავარაუდოდ, ხელყუმბარის აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და კიდევ სამი პირი დაშავდა. ისინი სხეულის დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„16 წლის პაციენტი ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში, 29 წლის პაციენტი კი ტრავმული შოკით ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალშია გადაყვანილი. კიდევ ერთი პაციენტი უკვე ბინაზეა გაწერილი. 41 წლის პაციენტს, სამწუხაროდ, აღმოაჩნდა სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები და მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, გარდაიცვალა“, — განუცხადა საზოგადოებრივ მაუწყებელს ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორმა თეა მიგინეიშვილმა.

წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცები არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და სავარაუდოდ, ხელყუმბარა შემთხვევით აუფეთქდათ.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარების ჯგუფები და პოლიცია.

თაღლითი კომისიის მდივანი პასუხისგებაში მისცეს!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის მცდელობის, თაღლითობისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე სილნაღის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ ოჯახებზე ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის კომისიის მდივანი ნათია პ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნათია პ. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სოციალურად დაუცველი პირების მონაცემების გაყალბების გზით, თაღლითურად დაეუფლა აღნიშნულ პირთათვის განკუთვნილ სოციალური დახმარების თანხებს. სულ თაღლითური გზით მითვისებულია 1450 ლარი. გამოძიება მიმდინარეობს თაღლითობის მცდელობის, თაღლითობისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე.

ასტანის პლატფორმა და „გლობალური სულიერი დიპლომატია“

მსოფლიო სულ უფრო ნაკლებად მშვიდობიანი ხდება, რასაც 2018 წლის მშვიდობის გლობალური ინდექსი (GPI)ადასტურებს. კვლევის შედეგების მიხედვით, კონფლიქტურობის დონემ მკვეთრად მოიმატა. დღევანდელობის განსაკუთრებულობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მომრავლდა რელიგიური ფაქტორით განპირობებული კონფლიქტები. ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობას დიალოგისა და კონსენსუსისათვის განსაკუთრებული მობილიზება სჭირდება.

საკითხი აქტუალური ხდება მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების ლიდერთა რიგით მე-6 ყრილობის წინ, რომელიც ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში იმართება ხოლმე. მიმდინარე წლის ოქტომბერში დაგეგმილი ყრილობის თემაა: „რელიგიური ლიდერები უსაფრთხო მსოფლიოსათვის“.

დღემდე პოლიტიკოსები, მეცნიერები და საზოგადოებრივი აქტივისტები ეძებენ პასუხს კითხვაზე – რატომ ხდება ძალადობისა და სიძულვილის მოჭარბება რელიგიის საფარველს ქვეშ მაშინ, როდესაც მსოფლიოს ყველა რელიგია მშვიდობასა და სამართლიანობას ქადაგებს?

როგორც ჩანს, ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არც არსებობს, ხოლო თუკი იგი მაინც არსებობს, ეს მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძალების გაერთიანებას მოითხოვს.

მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების ყრილობა, რომელიც ასტანაში ტარდება, დღეს-დღეობით მსოფლიოში დიალოგის საწარმოებლად განკუთვნილი უდიდესი პლატფორმაა, რომელიც რელიგიურ მოღვაწეებს, პოლიტიკოსებს, მეცნიერებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აერთიანებს რელიგიისა და პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული ყველაზე აქტუალური საკითხების განხილვისა და სხვადასხვა ასპექტზე საერთო ორიენტირების მოძებნის მიზნით.

მსოფლიო სასულიერო წოდების ლიდერები ყაზახეთის დედაქალაქში პირველად ზუსტად 15 წლის წინ, 2003 წელს შეიკრიბნენ. იმ მომენტში მსოფლიოს მოქმედმა და ყოფილმა წამყვანმა პოლიტიკოსებმა – ვლადიმირ პუტინმა, ჯორჯ ბუშ-უმცროსმა, ცხიან ცზემინმა, კოფი ანანმა, მარგარეტ ტეტჩერმა მხარი დაუჭირეს ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ინიციატივას, რელიგიის თემატიკაზე მსოფლიო მასტაბის დიალოგის გამართვასთან დაკავშირებით.

შემდგომი შეხვედრები ტარდებოდა სამ წელიწადში ერთხელ: 2006, 2009, 2012 და 2015 წლებში ყოველი ეს შეკრება მთავრდებოდა შემაჯამებელი დეკლარაციის ხელმოწერით. ამ დოკუმენტში დელეგატები აცხადებენ თავიანთი ერთობლივი მოქმედებების შესახებ, მშვიდობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების მიზნით, ასევე მოწოდებით მიმართავენ მსოფლიო საზოგადოებრიობას. ეს დოკუმენტები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

მთელი ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ან ყაზახეთში და ან მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანაში ყრილობების აქტუალობა ეჭვის ქვეშ დაყენებულიყო. ეს განპირობებულია ასტანის დიალოგის ფორმატის უნიკალურობითა და მისი კეთილშობილური მიზნებით.

დელეგაციათა რაოდენობა, რომლებიც ასტანამ მიიღო და წლიდან წლამდე იზრდება, 90-ს აღწევს 40-ზე მეტი ქვეყნიდან. მაგალითისათვის, 2015 წელს მე-5 ყრილობის საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ იორდანიის მეფე აბდალა II, ფინეთის სახელმწიფოს მეთაური საული ნიინისტე, ისლამის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციის (ISESCO) გენერალური დირექტორი აბულაზიზ ოსმა ატ-ტუეიჯრი, ასევე იმჟამად მოქმედი გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი, ეუთოს გენერალური მდივანი ლამბერტო ზანიერი და ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის (OIC) გენერალური დირექტორი იად ამინ მადანი. თავიანთ გამოსვლებში ისინი აღნიშნავდნენ რელიგიური დიალოგის განმტკიცების აუცილებლობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალური მშვიდობისა და საერთაშორისო სტაბილობისათვის.

აშკარაა, რომ ოფიციალური ასტანა განწყობილია, რომ ურყევად იმოქმედოს. იგი მოუწოდებს მსოფლიო რელიგიებს დიალოგისაკენ. სპეციალურად ამ ყრილობების ჩასატარებლად 2006 წელს აშენდა მშვიდობისა და თანხმობის სასახლე, რომელსაც პირამიდის ფორმა აქვს, ერთიანობის სიმბოლური გამოხატულების მიზნით.

2017 წელს ასევე გაიხსნა მშვიდობისა და თანხმობის მუზეუმი, მისი დანიშნულებაა კულტურათა და რელიგიათა დიალოგის თემაზე სამეცნიერო კვლევების ჩატარება და მასალების შეგროვება. იმავე წელს დაფუძნდა ასტანის სპეციალური საერთაშორისო პრემია რელიგიათშორის დიალოგში შეტანილი წვლილისათვის, ხოლო ყრილობის საპატიო მედალი პირველად მიმდინარე წელს იქნება გადაცემული.

ყაზახეთი, როგორც შუა აზიის გეოგრაფიული ცენტრი, ბუნებრივად აკავშირებს ერთმანეთთან მსოფლიოს უდიდეს რელიგიებს – ქრისტიანობას, ისლამსა და ბუდიზმს. ამიტომ ამ სახელმწიფოს ამბიცია, ჩაატაროს ასეთი საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობის ღონისძიებები, სავსებით გამართლებული ჩანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთი არის მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური სახელმწიფო, რომელიც მშვიდობის გლობალურ ინდექსში მაღალ პოზიციებს იკავებს. ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან 130 ეთნოსის წარმომადგენლები, ხოლო რელიგიური გაერთიანებების რიცხვმა 3600-ს გადააჭარბა, 18 სხვადასხვა კონფესიიდან. დაოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობს ყაზახური სახელმწიფო, შეინარჩუნოს ეთნიკური და კონფესიური მშვიდობა, შიდა ურთიერთობების მაქსიმალური ჰარმონიზაცია მოახდინოს და სწორედ ამისკენ მოუწოდებს იგი მსოფლიო საზოგადოებრიობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ყაზახეთის პირველი სამშვიდობო ინიციატივა არ არის. ასტანა აქტიურად იღვწის მშვიდობისა და თანხმობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების იდეების გატარებისთვის მთელ მსოფლიოში, 26 წლის მანძილზე მან არაერთი სამშვიდობო ინიციატივა შესთავაზა მსოფლიოს, რომელთა შორის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საკითხებიც მოიპოვება. ამ ინიციატივებიდან გამოვყოფთ ზოგიერთს: ბირთვულ იარაღზე ნებაყოფლობით უარის თქმა და საცდელი პოლიგონის დახურვა (1991წ.); ბირთვული იარაღისგან თავისუფალი მსოფლიოს შესახებ გაეროს საყოველთაო დეკლარაციის ინიცირება და თანაავტორობა (2015 წ.); მანიფესტის – „მსოფლიო. 21-ე საუკუნე“ გამოცხადება (2016 წ.); სირიის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესის ორგანიზება („ასტანის პროცესი“, 2017 წ.) და სხვ. აშკარაა, რომ ასტანამ შეძლო, დაემტკიცებინა, რომ მისი ინიციატივები მსოფლიო მასშტაბის ქმედით მექანიზმებად გარდაიქმნება.

მსოფლიო და ტრადიციულ რელიგიათა ლიდერების ყრილობის თემას რომ დავუბრუნდეთ, ისმის კითხვა: რა როლის შესრულებისკენ არის ეს ყრილობა მოწოდებული და რაში მდგომარეობს მისი აუცილებლობა?

არსებობს იმედი, რომ სხვა მექანიზმებთან კომპლექსში, ეს ფორმატი ხელს შეუწყობს ამჟამინდელ მსოფლიოში უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას. რელიგიის ფაქტორის გადაფასება რთულია, მისი კოლოსალური სამშვიდობო პოტენციალი ჯერ საერთოდ არ არის ამოქმედებული. გამომდინარე აქედან, რელიგიათშორისი კომუნიკაცია მიმართული უნდა იყოს არა კონფლიქტურ კალაპოტში, არამედ მას კონსტრუქციული, დიალოგის პრინციპზე დაფუძნებული ხასიათი უნდა ჰქონდეს. ასეთი მიდგომა შეუწყობს ხელს მსოფლიოში მთლიანად და მის ცალკეულ ნაწილებში უსაფრთხოების განმტკიცებას. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ რელიგიათშორის დიალოგთან თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიური და სამოქალაქო საზოგადოების, რელიგიისა და პოლიტიკის დიალოგს.

დიალოგის რელიგიათშორისი ფორმატი, რომელსაც ასტანა სთავაზობს, შეიცავს ურთიერთქმედების სხვადასხვა ფორმებს დისკუსიებით, მოლაპარაკებებითა და კონსულტაციებით დაწყებული, შეთანხმებებისა და კონკრეტულ საკითხებზე ერთობლივი მოქმედებების კოორდინაციით დამთავრებული.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ დიალოგი ყოველთვის თანხმობას არ ნიშნავს, მაგრამ იგი ყოველთვის ნიშნავს ამ თანხმობის ძიებას. შესაბამისად, მსოფლიო რელიგიურ ლიდერთა ყრილობა ასტანაში არის არა ერთჯერადი მოვლენა, იგი, უდავოდ პროცესს წარმოადგენს, რომელმაც მუდმივ საფუძველზე უნდა იმოქმედოს.

დიალოგი იძლევა საშუალებას, მხარეებმა ერთმანეთი არ აღიქვან „მტრის ხატის“ საფუძველზე, განიმსჭვალონ ურთიერთნდობით და მოახდინონ რელიგიური და ეთნიკური ურთიერთობების ჰარმონიზაცია, რაც, საბოლოო ჯამში, პოლიტიკური წინააღმდეგობების შერბილებას შეუწყობს ხელს.

ასე და ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ასტანის პლატფორმა კლასიკური ან თუნდაც საზოგადოებრივი დიპლომატიის ჩარჩოებს გარეთ იმყოფება. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა წინა, მე-5 ყრილობის გამოსვლაში აღნიშნა კიდეც, რომ პლატფორმა უკვე იქცა „გლობალური „სულიერი დიპლომატიის“ უმნიშვნელოვანეს ელემენტად“. ამ აზრს ეთანხმებიან სხვა მსოფლიო ლიდერებიც.

რევაზ გიორხელიძე

ლადო სადღობელაშვილმა „ქართული მარში“ დატოვა

9 სექტემბერი საქართველოს სპორტულ ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღია... მავანნი მას შეგნებულად ცდილობენ, ჩირქი მოსცხონ და მსოფლიო არენაზე ქვეყანას შეუბღალონ ისტორიული სახელი, ტოლერანტობის და ოდითგანვე თავისუფლებისათვის ლტოლვის ავტორიტეტი მარგინალურად გააცამტვერონ, – ამის შესახებ სოციალურ ქსელში ლადო სადღობელაშვილი წერს, რომელიც აქვე აღნიშნავს, რომ ის „ქართულ მარშს“ ტოვებს. მისი თქმით, ის გმობს და ემიჯნება ყველანაირ ძალადობას.

„საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე,მინდა გაუწყოთ, რომ მე ლადო სადღობელაშვილმა და ირაკლი დოლენჯაშვილმა პოლიტიკური თუ პირადი შეხედულებებიდან გამომდინარე დავტოვეთ „ქართული მარში“!

9 სექტემბერი საქართველოს სპორტულ ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღია... მავანნი მას შეგნებულად ცდილობენ, ჩირქი მოსცხონ და მსოფლიო არენაზე ქვეყანას შეუბღალონ ისტორიული სახელი, ტოლერანტობის და ოდითგანვე თავისუფლებისათვის ლტოლვის ავტორიტეტი მარგინალურად გააცამტვერონ.

ჩვენ, მე ლადო სადღობელაშვილი და ირაკლი დოლენჯაშვილი ვგმობთ და ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას ...არ ვუერთდებით ე.წ სპეციალურად დაგეგმილ „პროვოკაციას“, მოვუწოდებთ ყველას! არ წამოეგონ აღნიშნულ მარაზმს, რაც საქართველოში მიზანმიმართულ არეულობას ისახავს, მით უმეტეს ვაი-პატრიოტები რელიგიის სახელით ძალადობისკენ უბიძგებენ საზოგადოებას.

P. S. სინამდვილეში მართლმადიდებელობა შემწყნარებლობას და სიყვარულს ქადაგებს... პატივისცემით ლადო სადღობელაშვილი!“, – წერს სადღობელაშვილი.

51-ე სკოლის დირექტორის მოადგილე თანამდებობიდან გადადგა

51-ე სკოლის დირექტორის მოადგილემ, თინათინ ყენიამ თანამდებობა დატოვა.როგორც ყენიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მან სკოლა სასწავლო წლის დასრულების შემდეგ დატოვა.

შეგახსენებთ რომ, ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე შექმნილი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნით, უნდა დადგეს 51-ე სკოლის დირექტორისა და მოადგილის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

პერსონაჟი: საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად

თუ რომელიმე გაერთიანება მონაწილეობს მიზანმიმართულად ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, უთუოდ „ილიას ფონდიც“, ანდრო ბედუკაძის ხელმძღვანელობით.

საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის განახლება.

ილია მართლის სახელზე ეკლესიის აგება.

ილიას მარანის აღდგენა.

ყოველწლიური ლიტერატურული ჯილდოს — „საგურამო“-ს დაარსება.

ლიტერატურულ-საზოგადოებრივი თავყრილობების ციკლი.

ჟურნალი „საგურამო“.

ჩამონათვალი არასრულია, მაგრამ ზოგად წარმოდგენას მაინც შეუქმნის მკითხველს ამ ფონდის მოღვაწეობაზე. სწორედაც მოღვაწეობაზე და არა უბრალოდ საქმიანობაზე.

და აი კიდევ ერთი სასიკეთო ნაბიჯი:

ლიტერატორთა კლუბის დაფუძნება.

და პირველი განკარგულებაც მისი სახელით:

მსოფლიოს ქვეყნებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დანიშვნის შესახებ.

ტექსტი კი გვამცნობს:

დაინიშნოს დავით მაღრაძის პოემის „ჯაკომო პონტი“ მთავარი პერსონაჟი, ბატონი ჯაკომო პონტი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე.



განკარგულება #1
მსოფლიოს ქვეყნებში საქართველოს
საგანგებო და სრულუფლებიანი
ელჩის დანიშვნის შესახებ

Ordinance # 1
About appointment of the Ambassador
Extraordinary and Plenipotentiary of
Georgia to the States All Over the World

დაინიშნოს დავით მაღრაძის პოემის, "Giacomo Ponti", მთავარი პერსონაჟი, ბატონი ჯაკომო პონტი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე.

Appoint, the protagonist of Dato magradze's poem, Giacomo Ponti, Mr. Giacomo Ponti, on the position of the Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Georgia to the States All Over The World.

„ილიას ფონდთან“ არსებული ლიტერატორთა კლუბი:
Ilia Foundation Literary Club:

ივანე ამირხანაშვილი	Ivane Amirkhanashvili
ანდრო ბედუკაძე	Andro bedukadze
ლევან თითმერია	Levan Titmeria
ლანა უნდილაშვილი	Lana Undilashvili
უჩა შერაზადიშვილი	Ucha Sherazadishvili
პაატა ჩხეიძე	Paata Chkheidze
როსტომ ჩხეიძე	Rostom Chkheidze

„ილიას ფონდი“, საგურამო
Ilia Foundation, Saguramo
2018

ჯაკომო პონტი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე.

ხელს აწერენ: ივანე ამირხანაშვილი, ანდრო ბედუკაძე, ლევან თითმერია, ლანა უნდილაშვილი, უჩა შერაზადიშვილი, პაატა ჩხეიძე და თქვენი მონამორჩილი.

ელჩად... პერსონაჟი?

რატომაც არა — მოდერნიზმი აკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა პერსონაჟს, ავტორთანაც კი გაათანაბრებდა, თორემ დამოუკიდებლობას ხომ უბოძებდა და უბოძებდა. მიგელ დე უნამუნო უფრო შორსაც წავიდოდა და პერსონაჟს... ავტორზე მაღლა დააყენებდა — თუნდ დონ კიხოტს ბევრად აღამაღლებდა, ვიდრე მიგელ დე სერვანტესს.

მოდერნისტები ამ მხრივ ძალიან დავალებული იქნებოდნენ სიმბოლისტებისგან, სიმბოლისტები — პარნასელთაგან, სახელთა მაგიას, სახელთა გაზღაპრებას რომ მიანიჭებდნენ გამორჩეულ მნიშვნელობას და თანდათან დაიბეჯითებდნენ და საქვეყნოდაც გააცხადებდნენ, რომ:

აუცილებელი გახლდათ მწერლის ბიოგრაფიის აღსადგენად მათი ცხოვრების ყოველი დღისა და წელიწადის შესწავლა მათ შემოქმედებასთან ერთად, და რომ — ვთქვათ — ლირიც, მაკბეტიც, ჰამლეტიც, არიელიც და კალიბანიც უილიამ შექსპირის ორეულები იყვნენ.

ასე დაიწყებოდა ახალი მითოლოგიის შექმნა.

ქართულ სინამდვილეში სახელთა მაგიისა და ახალი მითოლოგიის ესთეტიკურ პრინციპებს დეკლარაციად ჩამოაყალიბებდა ვალერიან გაფრინდაშვილი, რაკიღა ცისფერყანწელთა ორდენი წამოიწყებდა სახელთა გაზღაპრებასაც და ამშვენებდა ინგლისურ პოეზიას, როგორც მარადი ინფანტა.

ედგარ პოს „ნევემორი“ არ გახლდათ მხოლოდ სიტყვა „აღარასოდეს“. ის სახელი იყო და მკითხველს შეეძლო ამ ერთი სახელით მოეწვია ბევრი მოჩვენებაც და ბევრი სახეც.

დააფასებდა და ძალიანაც დააფასებდა დეკლარაციის ავტორი, რომ:

ყანწელებს ამ ახალი მითოლოგიის მასკარადში დიდი გაბედულებით შეჰყავდათ ერთმანეთიც.

საერთოდ კი ეს ახალი მითოლოგია უეჭველად შეიქნებოდა ძლიერი საშუალება ახალი პოეტური სახეების, სიმბოლოების, მითებისა და ახალი პანთეონის შექმნისათვის.

ეს კი გულისხმობდა, რომ:

ამ დეკლარაციის პრინციპებს ესაჭიროებოდა არა მარტო წაკითხვა, არამედ აღდგენა-გაგრძელებაც ახალი ვითარების შესაფერისად.

ეს განწყობილება ჩაიდებოდა სწორედ „ილიას ფონდთან“ ლიტერატორთა კლუბის დაფუძნებაში, მისი პირველი გამოჩენა ამ გონებამახვილური იდეის ხორცშესხმა რომ აღმოჩნდებოდა:

ამავე სახელწოდების პოემის გმირის — ჯაკომო პონტის — სახელის გაზღაპრება და მისი მივლინება მსოფლიოს გზებზე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

პერსონაჟი უფრო შორსაც გაიწევდა და უფრო მეტ უფლებებსაც მოიპოვებდა, ვიდრე მისი შემოქმედი?

დავით მაღრაძე არამცთუ გულნაკლული არ დარჩებოდა ახალდაფუძნებული კლუბის ამგვარი გადაწყვეტილებით, კიდევ უფრო მეტ პატივადაც მითვლიდა, ვიდრე პირადად მისი გაელჩება იქნებოდა.

ბევრ ქვეყანაში უკვე შეაღწევდა ჯაკომო პონტი და წარმატებითაც გაიკვალავდა გზას მათ კულტურულ-საზოგადოებრივ სივრცეში?

არაერთი ქვეყნის მოხილვა კვლავაც წინ უდევს... და თუ აქამდე კიდევ შეიძლება დაეჩივლა, რომ: ცოტა არ იყოს დაიღალა და ბოლოს და ბოლოს რა აუცილებელია ყველა ქვეყანაში შედგას ფეხი, — ეს ახალი მოვალეობა, დაკისრებული ლიტერატორთა კლუბის მიერ, კიდევ მეტს ავალებს და უფლებას აღარც უტოვებს დაღლისას თუ შეყოვნებისას.

მასზე ჰკიდია ისიც, ხალისიან სამოსელში გამოხვეული ეს ღრმააზროვანი წამოწყება როგორი რიტმულობითა და მიზანსწრაფვით გაგრძელდება. ეს კი აუცილებელია ჩანაფიქრის სრულფასოვნებისათვის, შემთხვევიდან შემთხვევამდე რომ არ გადაიდოს ამ კლუბის განკარგულებანი და რაღაცნაირად არ გაფერმკრთალდეს.

არაერთი პერსონაჟი მოელის შესაფერის დაფასებას.

არაერთს დაჰკისრებია თავისი მოვალეობა, და ელოდება ამ მოვალეობის ოფიციალურ გაფორმებას, რათა უფრო კანთიელად ჩაიბეჭდოს მათი კოლორიტულობაც და ღირსებაც საზოგადოებრივ ცნობიერებაში. უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს მათი ხასიათისა თუ ბიოგრაფიის დაფარული, არადა მნიშვნელოვანი — და ზოგჯერ არსებითიც კი — შტრიხები.

პერსონაჟები ავტორებს გათანაბრებიან კიდეც და... ხან უკანაც მოუტოვებიათ თავიანთი შემქმნელნი?

შემქმნელთ კი ეს უფრო ახარებდათ და კვლავაც გაახარებთ და...

* * *

რატომ უნდა დარჩენილიყო ვალერიან გაფრინდაშვილის ის ორი ესეი — „სახელების მაგია“ და „ახალი მითოლოგია (დეკლარაცია)“ მარტოოდენ ქართული ესეისტური პროზის ჩინებულ ნიმუშებად. გარდასული ხანის ანარეკლად. გარკვეული ჟამის განწყობილების ხელშესახებ დასტურად.

რაღაც სახით უნდა აღდგენილიყო ის მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსი და...

აჰა კიდეც მისი აღდგენა-გაგრძელების ცდა, „ილიას ფონდთან“ დაფუძნებულ ლიტერატორთა კლუბის საძირკველშივე რომ ჩაიკირებოდა ჯაკომო პონტისთვის მინიჭებული ოფიციალური უფლებების წყალობით.

* * *

ამ ფონდის მაინც რომელ წევრს ეკუთვნოდა ეს მახვილგონივრული იდეა?

ყველასაც და არავისაც.

კი მაგრამ... ეს როგორ?

რაკიღა ახალი მითოლოგიის შექმნაში თავისი ღვაწლი მიუძღვის ფრიდრიხ ნიცშეს, სწორედაც ასეთი განსაზღვრება უხდება ყველაზე ძალიან ლიტერატორთა კლუბის ამ წამოწყებასაც: „ესე იტყოდა ზარატუსტრა“-ს ქვესათაურის კვალობაზე.

როსტომ ჩხეიძე

ჟურნალისტ გიგა მაქარაშვილს ჯანდაცვის სამინისტრო „დასჯის!“

ჟურნალისტმა **გიგა მაქარაშვილმა ტელეკომპანია „იბერიის“ გადაცემა „თავისუფალი სივრცის“ პირდაპირ ეთერში მარიხუანა მოწია. გადაცემის წამყვანის თქმით, ამის გამო სტუდიაში მყოფმა კიდევ ერთმა სტუმარმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ პოლიცია გამოიძახა. გადაცემაში დისკუსია მარიხუანას დეკრიმინალიზაციის თემაზე მიმდინარეობდა.**

როგორც „აიპრესთან“ შსს-ში განაცხადეს, „მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მე-10 პრიმა მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, კერძოდ კანონით იკრძალება ამ ნარკოტიკული საშუალების რეკლამა ან მათი შექმნის, მოხმარების, გამოყენების, შეძენის ადგილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ფიზიკური პირის მიერ. აღსრულებაზე პასუხისმგებელი არის ჯანდაცვის სამინისტრო, ამიტომ ამ ყველაფერს აღასრულებს ჯანდაცვის სამინისტრო“.

უნდა შეიქმნას საქართველოს მოქალაქეთა უკანონო დაკავებების ტერიტორიული რუკა

მოლაშქრე ირინა პაიჭაძე თრუსოს ხეობაში, მოლაშქრეთა სხვა ჯგუფებთან ერთად, ბოლო სამ წელიწადში 8-ჯერ იმყოფებოდა, უკანასკნელად — ერთი თვის წინათ. მოლაშქრეები კობის ხეობიდან ყელის ტბისა და არჩვების ტბის მიმართულებით მიდიან ხოლმე. არჩვების ტბაზე გადის ე. წ. პირობითი საზღვარი. იმის იქით მოლაშქრეები აღარ მიდიან ხოლმე, თუმცა „იმის გამო, რომ პირობითი საზღვრის აღმნიშვნელი არავითარი ნიშანი იმ ტერიტორიაზე არ დგას, ალბათობა, რომ მოლაშქრე საქართველოს არაკონტროლირებად ზონაში მოხვდეს, საკმაოდ მაღალია“, — ამბობს ირინა პაიჭაძე. ასეთი შემთხვევები რამდენჯერმე ყოფილა კიდეც, თუმცა საქართველოს მოქალაქეები 28 აგვისტომდე სეპარატისტებს არასოდეს დაუკავებიათ.

ქართველი მესაზღვრეები სოფელ აბანოში, ზაქაგორის ციხესთან დგანან და ყელის ტბამდე რამდენიმეკილომეტრიან პერიმეტრზეც პატრულირებენ. გზის ამ მონაკვეთზე ირინას არასოდეს უნახავს ე. წ. სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეები. ბოლო წლებია, სოფელ აბანოდან ყელის ტბაზე მისასვლელად ქართველი მესაზღვრეები საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ გაცემულ საშვსაც აღარ ითხოვდნენ ხოლმე.

„ამ ტერიტორიაზე არასდროს არავინ შემხვედრია, თუმცა რისკი საკმაოდ მაღალია, ვინაიდან ეს ბილიკი მარკირებული არ არის. რელიეფის გამო ბილიკი არც კი ჩანს, ვინაიდან ნაშალი კლდეა. ყელის ტბიდან რამდენიმე ასეულ მეტრში არის არჩვების ტბა, სადაც ოკუპირებული პირობითი საზღვარი გადის და შარშანაც და შარშანწინაც იყო შემთხვევები, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვდნენ მოლაშქრეები, რადგან უკან დაბრუნებისას თრუსოს ხეობაში მოსახვედრად უნდა გადმოიარო ესის უღელტეხილი, მაგრამ მეორე, უფრო მცირე უღელტეხილში ერევათ ხოლმე და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხვდებიან. გამოსავალი იქნება ის, რომ მოხდეს ბილიკების მარკირება, რომ ასეთი შეცდომებიდან ვიყოთ დაზღვეული“.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის მედიის ცნობით, 28 აგვისტოს საქართველოს 5 მოქალაქე ყელის ტბის მიდამოებში დააკავეს. ყელის ტბასთან შემთხვევით მოხვედრის გარდა, სხვა ალბათობას ირინა პაიჭაძე გამორიცხავს. როგორც წესი, არჩვების ტბის იქით მოლაშქრეები აღარ მიდიან ხოლმე. არჩვების ტბიდან ყელის ტბამდე, დაახლოებით, 5 კილომეტრია.

ის, რომ უკვე თრუსოს ხეობაში აღირიცხა საქართველოს მოქალაქეების დაკავების შემთხვევა, ხელისუფლებისთვის საგანგაშო სიგნალად და ძალზე დამაფიქრებელ ფაქტად უნდა იქცეს, მიიჩნევს „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის“ ხელმძღვანელი ბესიკ ალადაშვილი.

„ოკუპანტები და სეპარატისტული ხელისუფლება უნისონში მოქმედებენ და ცდილობენ, გააფართოონ მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორია. თრუსოს ხეობაში საქართველოს 5 მოქალაქის დაკავებით ისინი რეზონანსს აძლევენ იმას, რომ სეპარატისტები ფლობენ და აკონტროლებენ ამ ტერიტორიასაც. სეპარატისტების მადა გაიზარდა და ყაზბეგის, თიანეთისა და სხვა ტერიტორიაზეც განაცხადეს პრეტენზია. აქ პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ ეს უსიამოვნო ფაქტები რაიმე სერიოზულ პროვოკაციაში არ გადაიზარდოს“, - ამბობს **ბესიკ ალადაშვილი**.

ალადაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს საქართველოს მოქალაქეთა უკანონო დაკავებების ფაქტებს და აუცილებლად უნდა შეიქმნას საქართველოს მოქალაქეთა უკანონო დაკავებების ტერიტორიული რუკა, რათა პრევენცია უკეთესად განხორციელდეს.

„ეს სამწუხარო, დამაფიქრებელი, უფრო მეტიც, შემაშფოთებელი ფაქტია“, — ასე გამოეხმაურა შინაგან საქმეთა მინისტრი **გიორგი გახარია** თრუსოს ხეობაში საქართველოს 5 მოქალაქის დაკავების ფაქტს. დამატებითი განმარტებები შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ჯერ არ გაკეთებულა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **ძეთევან ციხელაშვილი** რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ამბობს: **თრუსოს ხეობის მიმდებარე ოკუპირებულ ჯავის რაიონში, სადაც 5 პირი დააკავეს, აქამდე უკანონო დაკავების ფაქტები იმის გამო არ ყოფილა, რომ მაღალმთიანი რაიონია და იქ მიმოსვლა იშვიათია, თორემ ოკუპირებული ტერიტორიების მთელ პერიმეტრზე განლაგებული არიან რუსეთის საოკუპაციო ძალები და დე ფაქტო ოსი მესაზღვრეები და იქ, სადაც აქტიური კომუნიკაციაა, მაგალითად, შიდა ქართლში, უკანონო დაკავებები გაცილებით მასშტაბურიაო. თუმცა, ქეთევან ციხელაშვილის თქმით, ნებისმიერი უკანონო დაკავება თანაბრად მნიშვნელოვანია და ამას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოჰყვება სათანადო — მათ შორის პრევენციული — ღონისძიებები.**

შეგახსენებთ, რომ თრუსოს ხეობაში ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ე. წ. საზღვრის უკანონო ბრალდებით 28 აგვისტოს დაკავებული ხუთი პირი 30 აგვისტოს გაათავისუფლეს. გათავისუფლებულ ახალგაზრდებს ერგნეთში ოჯახის წევრები დახვდნენ.

ნინო ხარაძე

ალექსეი დვინიანინი: რუსეთი უპრობლემოდ გასცემს მოქალაქეობას აფხაზეთის მოქალაქეებზე

რუსეთის ახალი ელჩი აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ალექსეი დვინიანინი ახლახან შეუდგა მოვალეობის შესრულებას. რუს დიპლომატს ინტერვიუ ჩამოართვა რადიო თავისუფლების რუსულენოვანი პროგრამის „ეხო კავკაზას“ კორესპონდენტმა სოხუმში ანაიდ გოგორიანმა.

ანაიდ გოგორიანი: აფხაზეთში დიპლომატიურ საქმიანობას რამდენიმე თვის წინათ შეუდექით. თუ არის სირთულეები თქვენს საქმიანობაში და რა სახის?

ალექსეი დვინიანინი: მთლიანობაში, არანაირი სირთულე არ არის, რადგანაც აფხაზეთის რესპუბლიკა რუსეთის მეგობარი ქვეყანაა, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, მოკავშირე სამხრეთ კავკასიაში, ამიტომ პოლიტიკურ ასპექტში სირთულეები ჩემი მუშაობის სამი თვის განმავლობაში არ ყოფილა. თუკი პირუთვნელები ვიქნებით,სხვა საქმეა, რომ ადრე მე დაკავებული ვიყავი სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის საკითხებით რეგიონალურ ჭრილში, ახლა კი მიწევს ჩვენი ურთიერთობების სოციალურ, ეკონომიკურ და შრომით ასპექტებში ჩაღრმავება. ეს, უბრალოდ, პერსონალური, დროებითი სირთულეებია.

ანაიდ გოგორიანი: 2014 წლის ოლიმპიადის წინ საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის რუსეთ-აფხაზეთის სახელმწიფო კომისიამ დროებით შეაჩერა მუშაობა. რა სტადიაზეა ეს პროცესი?

ალექსეი დვინიანინი: მართალი ბრძანდებით. დემარკაციისა და დელიმიტაციის კომისიის მუშაობა შეჩერებულია. არ მინდა, რომელიმე მხარეს დავაკისრო პასუხისმგებლობა, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ პირველივე დღეებში შევხვდი სახალხო კრების აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ქვარჭიას, რომელიც, ამავდროულად, აფხაზეთის მხრიდან კომისიის თავმჯდომარეცაა. განვიხილეთ კომისიის მუშაობის რაც შეიძლება სწრაფად განახლების საკითხი. მიმაჩნია, რომ არსებითად, დაურეგულირებელია მხოლოდ ერთი სოფლის აიბგას საკითხი. სტრატეგიული პარტნიორებისათვის ეს არ უნდა იყოს გადაულახავი წინაღობა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ორივე მხარის პოლიტიკური ნების პირობებში ეს საკითხი შეიძლება იოლად გადაიჭრას და შეთანხმებასაც მოეწეროს ხელი.

ანაიდ გოგორიანი: თუ მიმდინარეობს რაიმე სახის მოლაპარაკებები აფხაზურ და ქართულ მხარეებთან აფხაზეთის ტერიტორიის გავლით რუსეთიდან საქართველოში გარკვეული საქონლის შეტანაზე? როგორ აფასებთ ტრანზიტის პერსპექტივას?

ალექსეი დვინიანინი: ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, არ ვარ უფლებამოსილი ვილაპარკო იმაზე, მიმდინარეობს თუ არა რაიმე სახის მოლაპარაკებები ქართულ მხარესთან. ვიცი, რომ შვეიცარია გამოდის შუამავლად აღნიშნულ საკითხში. შესაბამის ხელშეკრულებას 2011 წელს მოეწერა ხელი რუსეთსა და საქართველოს შორის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველებმა ბოლომდე არ შეასრულეს შვეიცარიელების მიმართ აღებული ვალდებულება. აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, რადგანაც აღნიშნული შეთანხმება არანაირად არ ეხება აფხაზეთის ინტერესებს. ამ მომენტისათვის ტრანზიტის პერსპექტივას საკმაოდ პესიმისტურად ვუყურებ, რადგანაც, პრაქტიკულად, აფხაზეთის ტერიტორიის გავლით რუსეთიდან საქართველოში, გინდა პირიქით, არანაირი ტვირთები არ მოძრაობს.

ანაიდ გოგორიანი: აფხაზმა პოლიტიკოსმა სერგეი შამბამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, „მოდის დრო, როცა საჭიროა ურთიერთობების დალაგება. ვფიქრობ, ახლა შესაძლებელია საქართველოსთან ასეთი დიალოგის დაწყებაო“. რა კომენტარს გააკეთებდით ამ განცხადებაზე?

ალექსეი დვინიანინი: სამწუხაროდ, პატივცემულ სერგეი მირონის ძე შამბას ინტერვიუ არ მინახავს. დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს და დიდ პატივსაც ვცემ მას, რადგანაც ერთად დავიწყეთ ჟენევის დისკუსიების პროცესი 2008 წლის ოქტომბერში, მაგრამ, მთლიანობაში, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მოცემული ფრაზა ამოგლეჯილია კონტექსტიდან. საინტერესო იქნებოდა მცოდნოდა, რა იგულისხმა სერგეი შამბამ დიალოგის დაწყებაში. რუსეთი ყოველთვის მხარს უჭერდა იმას, რომ აფხაზეთსაც და სამხრეთ ოსეთსაც კეთილმეზობლური ურთიერთობები დაემყარებინათ საქართველოსთან, ვგულისხმობ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. ესაა მთავარი. თუ ბატონი შამბა გულისხმობდა იმას, რომ საქართველოსთან დიალოგი უნდა წარიმართოს თანაბრობის საფუძველზე, როგორც სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის, მაშინ, რა თქმა უნდა, ასეთი დრო დიდი ხანია დადგა.

ანაიდ გოგორიანი: რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის 2014 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ითვალისწინებს იმას, რომ რუსეთის ფედერაციამ უნდა მიიღოს დამატებითი ზომები იმისათვის, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებმა გამარტივებული პროცედურებით მოიპოვონ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა. შეთანხმების მე-13 მუხლი დაიწერა იმისათვის, რომ განახლებულიყო რუსეთის მოქალაქეობის მიღება გამარტივებული გზით, რომელიც 2008 წელს შეჩერდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ქვეყნებს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. როდის ამოქმედდება ეს მუხლი?

ალექსეი დვინიანინი: საუბარია იმაზე, რომ თუ ჩვენ ხელს ვაწერთ შეთანხმებას ორმაგ მოქალაქეობაზე ან აფხაზეთის მოქალაქეების მიერ რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღებაზე, თეორიულად შეიძლება წამოიჭრას საკითხი, რომ აფხაზეთის რომელიმე მოქალაქემ მიიღოს მესამე ქვეყნის მოქალაქეობაც, რაც ეწინააღმდეგება რუსეთის კონსტიტუციის მოთხოვნას. სიმართლე გითხრათ, ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. სამი თვეა, აფხაზეთში ვიმყოფები და ვიცი, რომ ჩვენი საკონსულო განყოფილება უპრობლემოდ გასცემს რუსეთის მოქალაქეობას აფხაზეთის მოქალაქეებზე. ამიტომ დიდი პრობლემები არ იქმნება, თუმცა მოლაპარაკებები გრძელდება და შეთანხმებასაც მალე მოეწერება ხელი.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი
კრედიტი/სესხის IBRD 8402-GE

პროექტის N P148048

დავალების სახელწოდება: იმერეთსა და შიდა ქართლში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებების ზედამხედველობა

კონტრაქტი/ RFP # SLRPIII/CS/CQS-07

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების ("მომსახურება") გასაწევად: **"იმერეთსა და შიდა ქართლში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებების ზედამხედველობა".**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 19 თვე მათ შორის 6 თვე სამუშაოებისთვის + 12 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი და დეფექტების აღმოფხვრის პერიოდის დასრულების შემდეგ 1 თვე კონტრაქტის დასახურად.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი, შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში და ექსპერტების კვალიფიკაცია.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – 'მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შერჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში. წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვების საფუძველზე მომზადდება მოკლე სია და პირველ ადგილზე გასულ კომპანიას ეთხოვება ტექნიკური და ფინანსური წინადადების წარმოდგენა.

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- მსგავსი გამოცდილება გზების სამშენებლო/სარეაბილიტაციო/მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების სამუშაოების ზედამხედველობაში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2013 წლის 1 იანვრიდან);

შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებების გათვალისწინება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2018 წლის 21 სექტემბრის, 17:00 საათისა.**

სახელი: ირაკლი ქარსელაძე
პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
Third Secondary and Local Roads Project (SLRP-III)

Credit/Loan No: IBRD 8402-GE
Project No. P148048

Assignment Title: Supervision of Small-Scale Road Safety Improvement works in Imereti and Shida Kartli Regions

Contract/RFP No: SLRPIII/CS/CQS-07

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies to express their interest in providing the following services: **Supervision of Small-Scale Road Safety Improvement Works in Imereti and Shida Kartli Regions.**

The estimated duration of assignment is 19 months consisting of a construction period of 6 months + Defect Liability Period of 12 months and one (1) month after the end of the Defects Liability Period for closing the contract by the Project Manager.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: (i) experience relevant to the project activities, (ii) key staff resources and qualification, and (iii) corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (**Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association**) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers , January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

Required Qualification of the Consultant:

The Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services.

Shortlisting Criteria:

The Consultant will be selected using the following evaluation criteria:

· General Experience in road infrastructure assignments;

· Similar experience in Supervision of road construction/rehabilitation/ small scale road safety improvement assignments during the last 5 years (assignments completed in or after 2013);

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

Note: The Road Department reserves its right to verify submitted references and use the obtained information for evaluation purposes.

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **September 21, 2018, 17:00 hours.**

Name: Irakli Karseladze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

◎ მისაბაძი მაგალითი

„მეღვინეობა ხარება“ საჭადრაკო ოლიმპიადის ერთ-ერთი მასპინძელი იქნება

ჭადრაკში ყველაზე მასშტაბური მოვლენის დაწყებამდე 2 თვეზე ნაკლები რჩება. ოლიმპიადა სპორტის ამ სახეობაში ყველაზე პრესტიჟული ტურნირია, რომლის მასპინძლობაც ნებისმიერი ქვეყნისთვის დიდი პატივია. წელს რიგით 43-ე ფორუმი საქართველოში, ბათუმში მოეწყობა.

ჩვენმა ქვეყანამ ამ ტურნირის ჩატარების უფლება 2014 წელს ნორვეგიის ქალაქ ტრომსოში გამართულ ფიდე-ს გენერალურ ასამბლეაზე მოიპოვა, სადაც დელეგატთაგან 93 ხმა მიიღო და უშუალო კონკურენტს, სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანს 35 ხმით აჯობა.

ოლიმპიადას ბათუმი 23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით მიიღებს და 180-ზე მეტი ქვეყნის 4 000-მდე მოჭადრაკესა და ოფიციალურ პირს ელოდებიან..

ამ მნიშვნელოვანი ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელი „მეღვინეობა ხარება“ იქნება. როგორც კომპანიაში აცხადებენ, 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობა მათთვის დიდი პატივია. კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ასეთი მასშტაბის ოლიმპიადა მათ შესაძლებლობას მისცემს, რომ კიდევ უფრო მეტ ადამიანს გააცნონ ქართული ღვინო.

„43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა საქართველოში ტარდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ჭადრაკი ინტელექტუალური სპორტია, საქართველოში ბევრი წარმატებული მოჭადრაკე გვყავს და საჭიროა ამ სახეობის კიდევ უფრო მეტად განვითარება და პოპულარიზაცია.

ღვინო ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია, ამიტომ საჭადრაკო ოლიმპიადა საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტ ადამიანს გავაცნოთ ქართული ღვინო“, — მიიჩნევენ კომპანიაში.

ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობის კუთხით „მეღვინეობა ხარება“ არა მხოლოდ ოლიმპიადაშია ჩართული, არამედ სპორტის ამ სახეობაში სხვადასხვა აქტივობებშიც მონაწილეობს.

მაგალითად, 31 ივლისს საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ღონისძიება „ერთი დღე ჭადრაკის სამყაროში“ „მეღვინეობა ხარებას“ მხარდაჭერით მოეწყო.

იგი ჭადრაკისა და ღვინის სინთეზს წარმოადგენდა, რომელიც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მონაწილეებისა და დამსწრე საზოგადოებისთვის. ნონა გაფრინდაშვილისა და ზურაბ აზმაიფარაშვილის პარტიამ, რომელიც ღვინის ჭიქებით გაიმართა, ბევრი ადამიანის მოწონება დაიმსახურა.

კომპანიაში რომ საკმაო პოპულარობით სარგებლობს ჭადრაკი, ამას კიდევ ერთხელ ის უსვამს ხაზს, რომ 23-24 ივნისს გამართული საქართველოს პირველი კორპორატიული ჩემპიონატის გამარჯვებული „მეღვინეობა ხარება“ გახდა.

ამ წარმატებით გუნდმა პარიზში ევროპის კორპორატიულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

კომპანია მომავალშიც გეგმავს ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა აქტივობაში ჩაერთოს და თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში.

ბეჟან დოლიძე

◎ ლეგიონერი

„წავედით“ — მეტ ჯენინგი საქართველოს ნაკრებში ითამაშებს!

ესპანური „ბასკონიას“ ამერიკელმა კალათბურთელმა მეტ ჯენინგმა (სიმაღლე 1.96 მ. წონა 88 კგ.) საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებულ შესარჩევ მატჩებში ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მაისურით ითამაშებს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ჯენინგის ნატურალიზაციებას აპირებდა, ორიოდე კვირის წინათ გაჩნდა, თუმცა, უცნობი იყო, სექტემბრის სანაკრებო ფანჯრამდე ყველა იურიდიული პროცედურის მოგვარება რამდენად მოესწრებოდა.

სასიხარულოა, რომ ყველაფერი გეგმისამებრ წარიმართა და ამერიკელმა უკანახაზელმა ქართული პასპორტი მიიღო. ჯენინგმა შესაბამისი ფოტო ინსტაგრამის გვერდზე განათავსა ქართული წარწერით — „წავედით“.

ცნობისთვის: მეტი რამდენიმე დღეა თბილისში იმყოფება და საქართველოს ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ვარჯიშობს. ამდენად, გუნდთან შესათამაშებლად საკმარისი დრო ექნება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიო პირველობის მე-2 ჯგუფურ ეტაპში 13 სექტემბერს ჩაებმება, როდესაც თელ ავივში ისრაელს გაეჯიბრება, 16-ში კი თბილისში საბერძნეთთან მატჩია. ორიოდე სიტყვა ამერიკელი კალათბურთელის ბიოგრაფიაზეც ვთქვათ. 30 წლის მცველმა ევროპული კარიერა 2012 წელს სიენას „მონტეპასკიში“ დაიწყო, შემდეგ ზაგრების „ციბონაში“ სტამბოლის „ანადოლუ ეფესში“, იერუსალიმის „ჰაპოელსა“ და ყუბანის „ლოკომოტივში“ ითამაშა, ხოლო 2015 წლიდან თორნიკე შენგელიას მხარდამხარ „ბასკონიაში“ ირჯება.

გასულ სეზონში მეტის საშუალო მონაგარი 8.1 ქულა, 2.1 მოხსნა და 1.7 პასი იყო, 6 ივლისს კი ბასკურ კლუბთან კონტრაქტი კიდევ 1 წლით გააგრძელა. ცნობილია, რომ მეტი განსაკუთრებით ძლიერი პერიმეტრიდან შეტევის დროს გახლავთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ერთა ლიგა

ვიწყებთ — დღისით, მზისით...

ყაზახეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს დიდი პატივი ხვდათ წილად — დღეს ასტანაში ისინი ერთმანეთს უეფას მიერ ახლახან „შობილი“ ტურნირის — ერთა ლიგის სასტარტო ბრძოლაში თბილისის დროით 18 საათზე შეებმებიან. მათ შეხვედრას თურქ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება ჰალილ უმით მელერის თავკაცობით.

ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს სლოვენიელი პრეზიდენტის ალექსანდრე ჩეფერინის ნოუ ჰაუ ჩვენი რანგის გუნდებს უმნიშვნელოვანესი ფორუმების ფინალურ რაუნდებში მოხვედრის გაცილებით უკეთეს შანსს აძლევს, ვიდრე მისი წინამორბედები, მაგრამ ისიც ვიკითხოთ — ვართ კი ჩვენ თვითონ მზად დღემდე აუხდენელი ოცნების ხორცშესასხმელად?

მაგალითად, პრობლემატურად გვესახება უცხოური კლუბების ლეგიონერ მეკარეთა სათამაშო პრაქტიკის დეფიციტი, რომლებიც სათადარიგოთა სკამს ხეხავენ, და ტრავმებით გატანჯულ თავდამსხმელთა შეზღუდული კონდიციები, რომლებიც ახლახან დაუბრუნდნენ მინდორს.

საფიქრალს გვმატებს იქაური ხელოვნური საფარის ფაქტორი და მატჩის ყაზახური დროით შუადღეზე, ანუ პაპანაქება სიცხეში დანიშვნა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ბიჭები ძვლებს დადებენ და შინ თავაწეულნი დაბრუნდებიან.

გიორგი შოთაძე

◎ სუმო

ავანსად — დადებითი ბალანსი

სექტემბრის სუპერტურნირამდე, რომელიც სტარტს კვირას ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში“ აიღებს, სულ უფრო ცოტა დრო რჩება. ამდენად, სუმოისტები მზადების დასკვნით ეტაპზე არიან გადასულნი.

დასავლეთის ოძეკის სტატუსის მქონე ქართველი ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი, კასუგანოს ოთახს ესტუმრა და სეკივაკე მიტაკეუმის, დასავლეთის მე-7 მაეგაშირა ტოჩიოძანსა და აღმოსავლეთის მე-10 მაეგაშირა აოიამას გაეჯიბრა.

სპარინგების რაოდენობა 26-მდე ავიდა და სასიხარულოა, რომ ქართველ სეკიტორს მძიმე დღის თავზე დადებითი ბალანსი ჰქონდა. ლევანმა 15-ჯერ იმარჯვა, 11 შერკინებაში კი მარცხი განიცადა.

შეგახსენებთ, რომ აკი ბაშოს წინ ტოჩინოშინი კადობანში გახლავთ ჩაყენებული, რაც შემდეგს ნიშნავს: თუკი ქართველმა სეკიტორმა მინიმალური დადებითი ბალანსს (კაჩი-კოში) მაინც ვერ მიაღწია, პრესტიჟულ ტიტულთან გამოთხოვება მოუწევს.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ალისიას პოპულარობის საიდუმლო

თქვენს წინაშე გაფოფინებული კოხტამშვენიერი ასული ალისი ფერნანდესი არც მოდელია, არც ტელეწამყვანი, არც მსახიობი და, საერთოდ, შოუბიზნესის ბრჭყვიალებასთან შეხება არა აქვს, მაგრამ სოციალური ქსელების საშუალებით უკვე საკმაოდ პოპულარული გოგონაა.

იგი ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ერთ-ერთი სუპერმარკეტის გამყიდველი იყო, რომელმაც ამ სამი წლის წინათ, თავისუფალ დროს ურუგვაის საფეხბურთო ნაკრების მაისური მოიზომა და მეგობარს საკუთარი სიკისკასისა და მშვენიერების წარმოსაჩენად სოციალურ ქსელებში გამოჭენების მიზნით რამდენიმე ფოტოსურათი გადააღებინა.

მას შემდეგ, რაც ინტერნეტმა ჩვენი მრავლისმნახველი პლანეტა მოიცვა და დაქსელა, ალისია ფერნანდესის დარად არაერთი რიგითი ლამაზმანი გახდა საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული. სოციალურმა ქსელებმა ურუგვაის მაისურმოცმულ ტურფასაც მშვენივრად გაუკვალა გზა და არ უნდა გაგვიკვირდეს, იგი უახლოეს მომავალში მშობლიური საფეხბურთო ნაკრების თილისმობაზეც თუ განაცხადებს პრეტენზიას.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ წუთისოფელი

ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა.

– გამარჯობა! – მოისმა ყურმილში უცნობის ხმა.

– ღმერთმა გამარჯვებული გატაროთ, ბატონო! – პასუხი არ დამიყოვნებია.

– არ გაგიკვირდეთ, სასაფლაოდან გირეკავთ!

– საიდან?!

– სასაფლაოდან... არა, მკვდარი არ გეგონოთ, ნახევრადმიცვალებული ვარ.

– ასე უშნო ხუმრობა?!. რომელი ხარ?

– არ გეხუმრებით, 85 წელს გადაცილებული მოხუცი ვარ. – შევატყვე,ხმა გაეგზარა.

– რით დაგეხმაროთ, ბატონო?! – ტონი შევცვალე.

– უკვე დამეხმარეთ. – ვიგრძენი, ტიროდა. – დედის საფლავზე ვარ და დაჩოქილი პატიებას ვთხოვ.

– რა დაუშავეთ ასეთი? – ცნობისმოყვარეობამ მძლია.

ხმა შეწყდა. ეტყობა, უცნობი ძალას იკრებდა.

– თავის დროზე წარმოსადეგი ბიჭი ვიყავი, – განაგრძო ნაწყვეტ-ნაწყვეტ. – მეგობრები და ქალები ბუზებივით მეხვეოდნენ. მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა. ერთხელ ძმაკაცებთან ერთად სოფელში ჩავედი საქეიფოდ. ღაწვებ და ხელებდანაოჭებული დიდი ხნის უნახავი დედა სიხარულით ცას ეწია. მაშინვე დატრიალდა და ზღაპრული სუფრა გაგვიშალა. ის იყო, სადღეგრძელოს სათქმელად ფეხზე წამოვდექი, დედა რომ მომიახლოვდა, წელზე ხელი შემომხვია და საკოცნელად წამოიწია. უცებ თავი გვერდზე გადავხარე და აღაფოფაფებული ლოყა მის დამჭკნარ ტუჩებს მოვარიდე...

ყურმილში ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

– დედა წამიერად გაშეშდა, – ხმის კანკალით განაგრძო უცნობმა. – მაგრამ არაფერი შეიმჩნია. „შენ რომ მყავხარ, შვილო, სიცოცხლედ ისიც მეყოფა“, – მითხრა მან და ხელების ცახცახით გამშორდა. ეს ეპიზოდი არავის შეუმჩნევია, რადგან დამშეულთ თავი სალაფავში ჩაერგოთ.

მეორე დილით წამოსვლისას ერთ-ერთი მეგობარი დედას ხელზე ემთხვია და გულუხვი მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა. ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე, მალულად როგორ გადმოაპურჭყა და ტუჩები ცხვირსახოცით მოიწმინდა.

დედა უხმოდ დამემშვიდობა. ხელის გამოწვდა უნდოდა, მაგრამ ძვლებზე ნახევრად ჩაშავებულ ტყავგადაფარებულ თითებს რომ დახედა, უმალვე უკან წაიღო. გულში კი რაღაც ჩამწყდა, თუმცა, მაშინ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია – მალევე ტვინის სიღრმეში დაილექა და გადამავიწყდა.

უცნობმა შეისვენა და ღრმად ამოიხვნეშა.

– ახლა რას საქმიანობთ? – საუბრის თემის შეცვლა ვცადე.

– დაუძლურებული, მოხუცთა თავშესაფარში ვარ, – ცრემლმა ისევ შეაწყვეტინა ლაპარაკი. – ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი მყავს. რძლებმა ჩემთან ცხოვრება არ მოისურვეს. შვილები თვეში ერთხელ თუ შემომივლიან ზრდილობისთვის, შვილიშვილების სახე კი თითქმის დამავიწყდა... ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ ქრისტიანი კაცი ვარ და თავი როგორ მოვიკლა!.. დღეს დილით გაზეთში თქვენი ნოველა წავიკითხე დედაზე. ბევრი ვიტირე – ჭაბუკობისდროინდელი ის ეპიზოდი დამიდგა თვალწინ. ვეღარ მოვითმინე. თავშესაფრიდან გამოვიპარე და 60 კილომეტრი ტაქსით გამოვიარე სასაფლაოზე ამოსასვლელად. აი, ახლა აქ ვარ და დედას პატიებას ვთხოვ!.. ხომ მაპატიებს?!

– გაპატიებს, აუცილებლად გაპატიებს, – ვუთხარი გულშეკუმშულმა. – დედები ყოველთვის გვპატიობენ, რადგან ვუყვარვართ.

– დედა, მაპატიე-ე-ე!.. ყურმილში ხრიალის ხმამ შემძრა.

ტელეფონი გაითიშა.

მორფინზე 100-ჯერ ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი

ამერიკელმა მეცნიერებმა დაამუშავეს ახალი პრეპარატი, რომელსაც შეუძლია მოახდინოს რევოლუცია ანესთეზიაში – ახალი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება AT-121 მორფინზე ბევრად უფრო ეფექტიანია, ამავე დროს მას არა აქვს უკუჩვენებები და, რაც მთავარია, არ იწვევს დამოკიდებულებას.

„ეს პრეპარატი არათუ თავად არ იწვევს ნარკოდამოკიდებულებას, არამედ ბლოკავს ოპიატებზე დამოკიდებულების განვითარებას, ამიტომაც გვაქვს იმედი, რომ მომავალში ის აქტიურად გამოიყენება არა მხოლოდ როგორც ტკივილგამაყუჩებელი, არამედ ნარკოდამოკიდებულების სამკურნალოდ,“ – განაცხადა უეიკ ფორესტის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის პროფესორმა, პრეპარატის ერთ-ერთმა შემქმნელმა **მეი ჩუნ კომ**.

დღეისთვის ოპიატები ანესთეზიის ძირითადი საშუალებაა თანამედროვე მედიცინაში, მათ აქტიურად იყენებენ ქრონიკული ტკივილების სამკურნალოდ, თუმცა, ეს პრეპარატები ზემოქმედებას ახდენენ ტვინის იმ რეცეპტორებზე, რომლებიც იწვევენ ტკივილს და ამავე დროს ააქტიურებენ ე.წ. „სიამოვნების ცენტრს“.

რეგულარული მიღების შემთხვევაში პაციენტები ეჩვევიან ამ ტკივილგამაყუჩებლებს და მათ უვითარდებათ ნარკოდამოკიდებულება. თანაც ასეთი დამოკიდებულების შეძენა შესაძლებელია წამლის სულ რამდენიმეჯერ მიღების შედეგად, რადგანაც ანესთეტიკები განსხვავებულად მოქმედებენ სხვადასხვა ადამიანზე, უსაფრთხო დოზის სწორი გათვლა კი თითქმის შეუძლებელია.

აშშ-ში ამ დროისთვის 2 მლნ. ადამიანი ითვლება ოპიატებზე დამოკიდებულად, რის გამოც 2017 წელს ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა საგანგებო სამედიცინო მდგომარეობა.

ათწლეულებია, ფარმაკოლოგები ცდილობენ შექმნან ნივთიერება, რომელიც შეაჩერებს ტკივილს ისე, რომ არ შეეხება სიამოვნების ცენტრს, თუმცა, ეს საკმაოდ რთული ამოცანაა. უკვე დამუშავდა რამდენიმე მედიკამენტი, მაგრამ სწორედ ახალმა პრეპარატმა შეიძლება მოახდინოს გარღვევა ამ დარგში.

„ჩვენ მიერ დამუშავებული პრეპარატი AT-121 აერთიანებს თავის თავში ამ ორ ფუნქციას, ამიტომ ვთვლით, რომ ეს არის უკეთესი სტრატეგია, ვიდრე ორი პრეპარატის მიღება,“ – ამბობს მეი ჩუნ კო.

„ზოგადი შედეგები შთამბეჭდავია. ეს ძალიან პერსპექტიული მიდგომაა და თუ კლინიკური ცდები წარმატებით ჩაივლის, AT-121 დაადასტურებს თავის უპირატესობას ტრადიციულ ოპიატებთან შედარებით,“ – ამბობს ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის პროფესორი ბრაიან რაიტი.

იმ შემთხვევაში, თუ პრეპარატმა გამოცდა წარმატებით გაიარა, იგი აფთიაქებში და საავადმყოფოებში მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდება, რადგან ახალი წამლების დამტკიცება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.

BBC

სანთელი

შვილები ასმათ, ბესიკ, ბეჟან, იზა ახალაიები, შვილიშვილები ირაკლი, ნათია ჩიკვატიები, ჯაბა, დიმა კალანდიები, გიორგი, დავით ახალაიები, ძმები ნუგზარ, გურამ ახალაიები, დები ქვაჩი, ცუცა, ნანული, თეზიკო ახალაიები, შვილთაშვილები ელენე, ნიკოლოზ ჩიკვატიები, ნინიკო, ვერიკო ჩხაპელიები, ანდრია, ალექსი კალანდიები, რძლები ეკა შამახია, ეკა შამუგია, დარეჯან ორჟონია, მაია ბარაბაძე, ნინო ყოლბაია, მაკა მამფორია, სიძეები სოსო ჩიკვატია, თენდა კალანდია, პაატა ჩხაპელია, ძმისშვილები, დისშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან

ჟორა (გიორგი) აკაკის ძე ახალაიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 6, 7 IX, გამოსვენება 8 IX, 15 სთ. მისამართი: ზუგდიდის რ-ნი, სოფ. განმუხური.

ძმა გურამ ახალაია, რძალი მაია ბარაბაძე, ძმისშვილები ნინო, აკაკი ახალაიები, სიძე ლევან კენჭაძე, რძალი სოფო მუსერიძე ოჯახებით იუწყებიან

ჟორა (გიორგი) აკაკის ძე ახალაიას

გარდაცვალებას.

თანაგრძნობას ვუცხადებთ ბატონ გურამ ახალაიას მისი ძმის

ჟორა (გიორგი) აკაკის ძე ახალაიას

გარდაცვალების გამო.

გოდერძი ბუკია, თემურ კვარაცხელია, გია მახარაძე, მანანა კეკელიძე, ნანა კეკელიძე, მარინა მიქაძე, ლეილა გრძელიძე, ბიძინა სონღულაშვილი, ნუგზარ ლომაია, დაზმირ კუჭავა, რეზო სალუქვაძე, შალვა ხარებავა, ზურაბ ერქვანია.

უახლოესი მეგობრები სპარტაკ ქობულია, მზია, მანანა, თემურ ქაჯაიები, ვოვა იოსელიანი მწუხარებით იუწყებიან, რომ გურამ ახალაიას გარდაეცვალა ძმა

ჟორა (გიორგი) აკაკის ძე ახალაია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის დიდ ოჯახსა და სანათესავოს.

თენგიზ ქავთარაძე, შოთა ასათიანი სამძიმარს უცხადებენ გურამ ახალაიას ძმის

ჟორა (გიორგი) აკაკის ძე ახალაიას

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე, ნოდარ ბოლოთაშვილი, მერაბ გურული, გია ციხისთავი სამძიმარს უცხადებენ ნუგზარ ქევხიშვილს დედის

ცირა მოსეს ასული გოგოლაშვილ-ქევხიშვილის

გარდაცვალებს გამო.

ანზორ ახვლედიანი, მარინა ჭოხონელიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ გიორგოზიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და მეგობრებს.

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ქ. ფოთში ცნობილი სამეურნეო მუშაკი, საზოგადოებაში აღიარებული მეგობარი

გონერი ხახუბია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

◎ ვულოცავთ!

არ მოჰკლებოდეს ქვეყანას სინათლე!

10 სექტემბერი - საქართველოს ენერგეტიკოსების პროფესიული დღე!

წელს ჩვენი სახელოვანი ენერგეტიკოსები მეთექვსმეტედ აღნიშნავენ პროფესიულ დღეს — **10 სექტემბერს**. ეს დღე საქართველოს უახლესი ისტორიის გამორჩეული თარიღია. მისი მოკლე ისტორია კი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. 1914 წლისთვის თბილისში არსებობდა და სხვადასხვა სათბობ მასალებზე მუშაობდა დაახლოებით 44 თბოელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 7 მეგავატამდე იყო. გარდა თბილისში მოქმედი ელექტროსადგურებისა, საქართველოში კიდევ იყო სხვა მცირე ელექტროსადგურები: გაგრის 300 კვტ, ბორჯომის 220 კვტ (უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი ჰიდროელექტროსადგური იყო საქართველოში), გორის 73 კვტ, ახალი ათონის 66 კვტ, ახალქალაქის 55 კვტ და სხვა მცირე ჰიდროელექტროსადგურები. რა თქმა უნდა, ეს სიმძლავრეები სრულიად მიზერული იყო ქვეყნის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება მიუხედავად შექმნილი საერთო მძიმე მდგომარეობისა (პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ.), შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, რისთვისაც მან კონცესიური ხელშეკრულება დადო საშუალო სიმძლავრის ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასაწყებად და აგრეთვე მომზადდა ხელშეკრულება მესამე ჰიდროელექტროსადგურის აშენების შესახებ, მაგრამ ქვეყანაში საერთო მდგომარეობის გაუარესების გამო ყველა ეს გეგმა ჩაიშალა.

ახალი ხელისუფლების მიერ გატარებულ მრავალ გარდაქმნებს შორის აგრეთვე იყო 1921წ. 16 ივნისის დეკრეტი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ელექტროსადგურების ნაციონალიზაციის შესახებ. ქვეყნისა და მათ შორის თბილისის ელექტრიფიცირების პრობლემების გადაწყვეტის მიზნით დღის წესრიგში დადგა ახალი ელექტროსადგურების და მათ შორის თბილისის ელექტრომომარაგების საკითხი, ამასთან დაკავშირებით თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა სპეციალური კომისიის მიერ წარმოდგენილი ინჟინერ ივანე მელიქ-ფაშაევის პროექტი ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ (მანამდე თბილისთან ასაშენებელი ელექტროსადგურის მრავალი ვარიანტი იქნა განხილული) და აი, 1922 წ. 22 სექტემბერს თბილისთან ახლოს, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, მრავალათასიანი შაბათობა მოეწყო, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში იმ დროისთვის პირველი მძლავრი ელექტროსადგურის — ზაჰესის მშენებლობასთან. ასე, რომ დღევანდელი ჩვენი დღესასწაული — 10 სექტემბრის თარიღი იმ შორეული 1922 წლის ზაჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული მრავალათასიანი შაბათობიდან მოდის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 10 სექტემბერი ენერგეტიკოსის დღედ 2002 წ. 31 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაწესდა. ამის ინიციატორი კი მაშინდელი ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, დარგის გამოჩენილი მუშაკი, ბატონი არნოლდ ჩოხელი იყო.

ჩვენო ძვირფასო კოლეგებო და თანამემამულენო — ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი სულითა და გულით გილოცავთ ამ შესანიშნავ დღეს.

ჩვენი წყალობით არ მოჰკლებოდეს ქვეყანას სინათლე, სითბო და წინსვლა, რაც ქვეყნისთვის ელექტროენერგეტიკის მხოლოდ წინსწრებით განვითარებას მოაქვს.

ამიტომ აქვე პროზაულ დანამატს გავახმოვანებ — კვლავ იმ აზრის ვართ, რომ **ენერგეტიკის სამინისტრო საჭირო იყო ძალიან...**

ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი

◎ ექსკლუზივი

„მოფარფატე ყვავილების“ პარკი

საქართველოში პეპლების პირველი პარკი შესაძლოა, ბათუმში აშენდეს. პროექტი ამ ეტაპზე იდეის დონეზეა, რის შესახებაც „კომერსანტს“ საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ოსმან ჩალიშქანი-მჟავანაძემ ექსკლუზიურად განუცხადა. მისი ინფორმაციით, 3000 პეპლისგან შემდგარი დოქის ფორმის პარკი 3 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე განთავსდება.

„თავდაპირველად სხვადასხვა ჯიშის პეპლების იმპორტი განხორციელდება, პარკის გახსნიდან 6 თვეში კი პეპლების გამრავლება ადგილზე მოხდება. იქიდან გამომდინარე, რომ ზოგი პეპელა 21 დღეს, ზოგიც 2 თვეს ცოცხლობს, მათი შემოყვანა მუდმივად განახლებადი პროცესი იქნება“, — აცხადებს ჩალიშქანი-მჟავანაძე. მისივე ინფორმაციით, პეპლების ჩამოყვანა ძირითადად ფინეთიდან მოხდება. მისი თქმით, აჭარის მთავრობასთან და ქალაქის მერთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით. მისივე ინფორმაციით, პეპლების პარკში 1.5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით მოხდა, ბათუმს მომავალი წლის ზაფხულის საკურორტო სეზონზე ახალი ტურისტული ობიექტი ექნება. **„ეს იქნება ერთგვარი დახურული ტიპის ბოტანიკური ბაღი, რომელიც ტურისტებისთვის ძალიან მიმზიდველი იქნება. სხვადასხვა ქვეყნებში არის მსგავსი პარკები. პარკი ზამთარ-ზაფხულ იმუშავებს“,** — ამბობს ჩალიშქანი-მჟავანაძე.

საინტერესოა, რომ განიხილება ანალოგიური პეპლების პარკის მოწყობა თბილისშიც.

სოფო ქსოვრელი

რას არ გაიგებ!

● ...სიზმრების 90 პროცენტი ადამიანს გაღვიძებიდან ათ წუთში ავიწყდება.

● ...მზის სისტემაში მხოლოდ ორ პლანეტას არა აქვს თანამგზავრი — მერკურსა და ვენერას.

● ...მე-20 საუკუნის დამდეგიდან დედამიწის საშუალო ტემპერატურამ ცელსიუსის ერთი გრადუსით მოიმატა.

● ... კოლუმბიის ორ — წყნარ და ატლანტიკის ოკეანეს შორის გადაჭიმული ჩიკოს ტროპიკული ტყეების სარტყელი დედამიწაზე ყველაზე სველი ადგილია, სადაც წელიწადში 13 მეტრი ნალექი მოდის.

იქნებ ამან უშველოს საბრალო ხალხს

შიზოფრენიის მიზეზი მოგონებები ყოფილა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ განგაშის გამომწვევი აშლილობები და აკვიატებული აზრები იმ ადამიანებს წარმოეშვებათ, ვისაც რაღაც-რაღაცების დავიწყება არ შეუძლია.

ასეთ პაციენტთა თავის ტვინის მუშაობის შესწავლის შედეგად, მკვლევარებმა მათ იმ ნივთიერების დეფიციტი დაუდგინეს, რომელიც მოგონებებს „აარქივებს“ და მის გამოყენებას შიზოფრენიის წამლის შესაქმნელად გეგმავენ.

მეხსიერების „წვრთნა“

ინფორმაციის სწრაფად დასამახსოვრებლად საჭიროა მისი ხმამაღლა წარმოთქმა. მოხალისეთა გამოკვლევის შედეგად, კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტექსტის ხმამაღლა კითხვის მიმართ თავის ტვინი განსაკუთრებულად აქტიურია. ამჟამად მეხსიერების სავარჯიშოდ ხანდაზმულ ადამიანებს მედიკოსები დაწერილის ხმამაღლა წაკითხვას ურჩევენ.

ჯადოსნური ხეები

როგორ გგონიათ, პატივცემულო მკითხველო, რამდენი სხვადასხვა სახეობის ნაყოფი შეიძლება დაისხას ერთმა ხემ — ორი, სამი, ხუთი, ათი თუ...

იქნებ არც დაიჯეროთ, მაგრამ, თურმე... 40 (ორმოცი!) სხვადასხვა ნაყოფი, მათ შორის, ატამი, ქლიავი, ალუბალი, ნუშიც კი და ა. შ. ასეთი მართლაც რომ სასწაული ხეები წარმატებული დამყნობების შედეგად შექმნა ამერიკის სირაკუზის უნივერსიტეტის პროფესორმა სემ ვან აქვენმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 8 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5844; ევრო - 2.9868;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3132;
100 რუბლი - 3.7877; თურქული ლირა - 0.3859;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5243;
1000 სომხური დრამი - 5.3452.

ამინდი 6 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე +14,	დღე +31
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +30

დასავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე +19,	დღე +36
მთიანი რაიონები -	ღამე +12,	დღე +34
თბილისი:	ღამე +14,	დღე +29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge